საქართველოს სახალხო დამცველი

10 დეკემბრის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2016

წინასიტყვაობა

10 დეკემბერს ცივილიზებული სამყარო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის გადაწყვეტილებით, წელს 10 დეკემბრის მთავარი გზავნილია „აიმაღლე ხმა სხვისი უფლებებისათვის დღეს“.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2013 წელს დაწყებული ინიციატივის გაგრძელებას – ყოველი წლის 10 დეკემბერს შეაჯამოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა საქართველოში.

ბუნებრივია, ეს დოკუმენტი არ არის ისეთი ყოვლისმომცველი, როგორიც სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიში. მისი ძირითადი დანიშნულებაა საზოგადოებას გააცნოს წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ძირითადი მიღწევები და პრობლემები, რომელთა დაძლევის გარეშე შეუძლებელი იქნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ძირითადი პრინციპების იმპლემენტაცია საქართველოში.

1. ადამიანის უფლებათა მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში

2016 წელს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში რამდენიმე პოზიტიური ცვლილება აღინიშნა, თუმცა კვლავაც რჩება არაერთი არსებითი სახის გამოწვევა. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება 2016 წელს „C“ ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში მისივე რეკომენდაციის შესაბამისად შეტანილ ცვლილებას, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირების მსგავსად, „C“ ჰეპატიტის სოფოსბუვირით მკურნალობა ხელმისაწვდომი გახდა პენიტენციურ სისტემაში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვისაც.

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შეტანილ ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დეესკალაციის ოთახში ერთჯერადად განთავსების ვადად 72 საათი განისაზღვრა, თუმცა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, მოთავსების მაქსიმალურ ვადად 24 საათის განსაზღვრის თაობაზე, არ გაუთვალისწინებიათ.

საქართველოს სახალხო დამცველი ასევე პოზიტიურად აფასებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ „საქართველოს სახალხო დამცველის, აგრეთვე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლების განხორციელების წესის“ დამტკიცებას, თუმცა

რჩება რამდენიმე არსებითი ხასიათის საკითხი, რომელიც, პრევენციის ეროვნული მექანიზმის უფლებამოსილების ეფექტიანი რეალიზების ხელშესაწყობად, შემდგომ დარეგულირებას საჭიროებს.

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს პატიმრობის კოდექსში შეტანილ ცვლილებას, რომლის თანახმადაც, მსჯავრდებულს, რომელიც პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ნებართვითა და კონტროლით ეწევა ინდივიდუალურ საქმიანობას, უფლება ეძლევა პენიტენციური დაწესებულების ხელშეწყობით, გაყიდოს ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული ნივთი (ნაკეთობა).

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთეულ შემთხვევებს, 2016 წელს სახალხო დამცველს/სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმართა მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, 2016 წლის იანვარი-ნოემბრის მონაცემებით, საქართველოს სახალხო დამცველმა შემდგომი რეაგირების მიზნით საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა ორი წინადადებით თებერვალსა და სექტემბერში. საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვის შედეგად, შესაძლო არასათანადო მოპყრობის ორივე ფაქტის 144[3] მუხლით დაკვალიფიცირება, დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს.

მიუხედავად აღნიშნულისა, პენიტენციურ დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით კვლავ არაერთი პრობლემა იკვეთება. არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს აჩენს დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურა, რაც ხშირად პატიმრებს შორის ძალადობისა და ჩაგვრის მიზეზი ხდება. გამოწვევას წარმოადგენს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების სამედიცინო პერსონალის მიერ გამოვლენისა და სრულყოფილი დოკუმენტირების ხარვეზებიც.

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინიტროს მხრიდან პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცებას, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.[1] აღნიშნული წესი „სტამბოლის პროტოკოლის“ დებულებების შესაბამისად, სპეციალურად გამოყოფილი ფოტოაპარატით დაზიანების ფერად ფოტოგადაღებასაც ითვალისწინებს. სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული წესი ეფექტურად იქნება იმპლემენტირებული პრაქტიკაში და ხელს შეუწყობს დაზიანებების სრულყოფილ დოკუმენტირებასა და არასათანადო მოპყრობის შესაძლო ფაქტების გამოვლენას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეკომენდაცია იყო წლების განმავლობაში.

პრობლემურია პრაქტიკა, რომელსაც ადმინისტრაცია პატიმრების მიმართ უსაფრთხოების ღონისძიებებისა და მეთვალყურეობის მიზნით ეწევა. იკვეთება ტენდენცია, რომ ადმინისტრაცია პატიმრების მიმართ ხანგრძლივი დროით იზოლირების, მათ შორის დეესკალაციის ოთახში მოთავსების პრაქტიკას, საკმარისი საფუძვლის არარსებობის შემთხვევებშიც მიმართავს.

ამასთან, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში, მაღალი საშიშროების რისკის მქონე მსჯავრდებულების მიმართ, დებულებით განსაზღვრული პროცედურებიდან გამომდინარე, ადგილი აქვს ხელბორკილების რუტინულად გამოყენების პრაქტიკას.

პრობლემას წარმოადგენს პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი სათანადო დასაბუთების გარეშე, ვიდეო ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვა და სახალხო დამცველისა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების დაუშვებლობა ასეთ ჩანაწერებზე.

პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია კვალავაც უფლებამოსილია ბრალდებულის/მსჯავრდებულის სახალხო დამცველთან/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთან შეხვედრას დააკვირდეს ვიზუალურად, ტექნიკური საშუალებით დისტანციური დაკვირვებისა და ჩაწერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე, რაც სახალხო დამცველის შეფასებით, ეწინააღმდეგება გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმითა და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განმტკიცებულ შეხვედრის კონფიდენციალურობას.

---

1 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N131 ბრძანება, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ, 27 ოქტომბერი 2016 წელი.

მართალია, გასულ წლებთან შედარებით, რიგ პენიტენციურ დაწესებულებებში გაუმჯობესებულია ფიზიკური გარემო და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, მაგრამ არსებული პირობები კვლავაც საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. დაწესებულებების უმრავლესობაში ყველა მსჯავრდებული არ არის უზრუნველყოფილი საქართველოს პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული 4 კვადრატული მეტრის ფართით.

დადებითად უნდა აღინიშნოს ინფრასტრუქტურის მოწყობა ხანგრძლივი პაემნისთვის N5 დაწესებულებაში. ამ კუთხით ვითარება არ შეცვლილა N7, N8 და N9 პენიტენციურ დაწესებულებებში.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს რამდენიმე დაწესებულებაში პატიმართა წახალისების შემთხვევების მატებას. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, ზოგადად, პენიტენციურ დაწესებულებებში შემცირებულია წახალისების შემთხვევები. ამავე დროს საგულისხმოა, რომ წინა წელთან შედარებით დაწესებულებებში გაზრდილია დისციპლინური დასჯის მაჩვენებელი. 2016 წლის განმავლობაში კვლავ გამოიკვეთა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსების ფაქტები.

ზოგიერთ დაწესებულებაში მიმდინარე გარკვეული სარეაბილიტაციო პროგრამების მიუხედავად, დღემდე მწვავე პრობლემად რჩება სარეაბილიტაციო აქტივობების განხორციელება პენიტენციური დეპარტამენტის N3, N6, N7, N9, N18 და N19 დაწესებულებებში. აუცილებელია დახურული ტიპის დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს, სულ მცირე, საკანში მაინც მიეცეთ შესაძლებლობა, დაკავდნენ რაიმე მათთვის საინტერესო თავშესაქცევი, სახელოვნებო, შრომითი, შემეცნებითი და სხვა აქტივობებით. ასევე მნიშვნელოვანია, თუნდაც დაწესებულების შეზღუდული შესაძლებლობის პირობებში, ხელი შეეწყოს გარკვეულ ინდივიდუალურ სპორტულ აქტივობებს. მაგალითად, თხოვნის შემთხვევაში, პატიმარს დაერთოს ნება, დამატებით გავიდეს სასეირნო ეზოში ინდივიდუალურად ვარჯიშისთვის. ამ მიზნით, უსაფრთხოების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, შესაძლებელია სასეირნო ეზოში ელემენტარული სპორტული აღჭურვილობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სახალხო დამცველი მიესალმება სამედიცინო დეპარტამენტის რეორგანიზაციის, პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტების განახლებისა და ჯანდაცვის ბიუჯეტის გაზრდის კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს. დადებითად უნდა აღინიშნოს N5 დაწესებულებაში ატლანტისის პირველი ეტაპის წარმატებით დასრულება.

პენიტენციური ჯანდაცვის კუთხით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯების მიუხედავად, კვლავ შეუსრულებელია არაერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია და რჩება მთელი რიგი არსებითი სახის გამოწვევები. მათ შორის არის პენიტენციურ დაწესებულებებში ექიმის ხელმისაწვდომობის, სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოების საკითხები.

პატიმართა უმეტესობა აღნიშნავს, რომ არ არის ხელმისაწვდომი დროულად ექიმის მომსახურება. სათანადო გამოკვლევების გარეშე, მხოლოდ ზეპირი გასაუბრებით ხდება მედიკამენტების დანიშვნა ექიმ-სპეციალისტების მიერ, რომელიც რიგ შემთხვევაში არ არის ეფექტური, ასევე არის შემთხვევები როცა მედიკამენტებს აქვს უკუჩვენება.

მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს ექიმების და ექთნების რაოდენობა გაიზარდა, მათი რაოდენობა ზოგიერთ დაწესებულებაში მაინც არასაკმარისია. 2016 წელს კვლავ პრობლემად რჩება მოწვეული ექიმ-კონსულტანტების ვიზიტების სიხშირე.

პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო რეფერალის დროულად განხორციელების საკითხიც, ისევე როგორც სამედიცინო რეფერალის ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებისას სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევის დადასტურების რამდენიმე თვით დაყოვნება.

2016 წელს არასრულწლოვანი პატიმრები არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების გარდა გადაიყვანეს N2 და N8 დაწესებულებებში, სადაც არ არის არასრულწლოვანი პატიმრების რეაბილიტაციისთვის შესაფერისი გარემო. ამასთან, არასრულწლოვანი პატიმრები ამ დაწესებულებებში არ არიან სრულად იზოლირებული სრულწლოვანი პატიმრებისგან.

N5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სახალხო დამცველი მიესალმება N5 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობას. გარდა ამისა, აღსანიშნავია ქალ პატიმართა სრული შემოწმების პროცედურის ალტერნატიული მეთოდის დასანერგად, სკანერების შესყიდვა, რაც იყო კიდეც საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ აღნიშნული პროცედურა უახლოეს მომავალში სრულად დაინერგება.

2016 წელს კვლავ გამოწვევად რჩება დედისა და ბავშვის დაშორების საკითხი, მას შემდეგ, რაც ბავშვი 3 წლის ასაკს მიაღწევს. არსებული პროცედურები ძალიან მტკივნეულია როგორც ბავშვისთვის, ასევე დედისთვის. საყურადღებოა, ბავშვებთან ერთად განთავსებული დედების სხვადასხვა პროგრამებსა და ღონისძიებებში ჩართვის საკითხი, რაც იწვევს ბავშვის უმეთვალყურეოდ დარჩენას.

აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც მოთავსებული არიან უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები, არ ხორციელდება ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული, მრავალფეროვანი და რეგულარული ხასიათის სარეაბილიტაციო აქტივობები. ამასთან, N7 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში არ არსებობს ხანგრძლივი პაემნისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. N8 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები ხანგრძლივი პაემნის უფლების რეალიზებისათვის N6 დაწესებულებაში გადაჰყავთ, ხოლო N7 დაწესებულებაში მოთავსებული უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები საერთოდ ვერ სარგებლობენ ხანგრძლივი პაემნით.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დაწესებულებაში კვლავ პრობლემურია მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა ერთად მოთავსების პრაქტიკა. მნიშვნელოვანია პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების არანაკლებ 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისა და ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის საკითხი, რაც საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის თანახმად, საკანონმდებლო დონეზეა დასარეგულირებელი. ბრალდებულებს, მიუხედავად იმისა, რომ მათზე ვრცელდება უდანაშაულობის პრეზუმფცია, თავისუფლება აღკვეთილი აქვთ ზედმეტად შემზღუდველ გარემოში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მათი სტატუსის შესაბამისი, უფრო ჰუმანური პატიმრობის პირობები შეეთავაზოთ.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების და სხვა ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ენის ბარიერი, რის გამოც პატიმართა უმეტესობამ სათანადოდ არ იცის მათთვის კანონით მინიჭებული უფლებები და მათი რეალიზებისას არსებითი ხასიათის პრობლემები ექმნებათ. კვების ორგანიზებისას ასევე არ არის სათანადოდ გათვალისწინებული რელიგიური და კულტურული თავისებურებები.

მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ პატიმრის მიერ პაემნის უფლებით სარგებლობას ხელს უშლის პატიმრის ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა. კონკრეტულად კი, დღემდე უმთავრეს პრობლემად რჩება აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე პენიტენციური დაწესებულებებიდან პატიმართა დასავლეთ საქართველოში გადაყვანის საკითხი და პირიქით. ვინაიდან პატიმრების ნაწილი განთავსებული მათი ოჯახის საცხოვრებლისგან შორს, პატიმრებს ეზღუდებათ ხანმოკლე/ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება. ასევე, ოჯახის წევრებისთვის, მატერიალური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით პრობლემას წარმოადგენს პატიმრის ამანათით უზრუნველყოფა. ხანმოკლე პაემნის ოთახში მინის გამყოფი ბარიერი კი პატიმარს ოჯახის წევრებთან ყველანაირი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას ართმევს. მსჯავრდებულებს, რომელთაც განსაზღვრული აქვთ მაღალი რისკი და ეკრძალებათ ხანგრძლივი პაემანი, ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი ხანმოკლე პაემანი და ერთი სატელეფონო ზარი ვერ უზრუნველყოფს მათ მიერ ოჯახთან სათანადო ურთიერთობის შენარჩუნებას. ამასთან, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებების დებულებები მსჯავრდებულებს ავალდებულებს დაწესებულების დირექტორს მიაწოდონ იმ სატელეფონო ნომრების ჩამონათვალი, რომელზეც აპირებენ დარეკვას. იმისთვის, რათა პატიმარს დაერთოს ნება, ამ ნომრების გარდა, სხვა ნომერზეც დარეკოს, მან ხელახლა უნდა მიმართოს დაწესებულების დირექტორს, ტელეფონის ნომერიც წერილობით უნდა შეიცვალოს. ეს ართულებს პატიმრის დაკავშირებას ისეთ უწყებებთან, როგორიცაა სახალხო დამცველის აპარატი, გენერალური ინსპექცია და სხვა. შესაბამისად, აღნიშნული მანკიერი პრაქტიკა აღმოსაფხვრელია.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მხოლოდ ხუთ დაწესებულებაშია, შესაბამისად, სხვა დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრები ვერ სარგებლობენ კანონით დადგენილი უფლებით.

დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ტელეფონის აპარატები განთავსებულია დაწესებულების თანამშრომელთა სამორიგეო ოთახში, სადაც იმყოფება მორიგე კონტროლიორი, შესაბამისად, ირღვევა სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურობა.

საქართველოს სახალხო დამცველი შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსებული პატიმრები სახალხო დამცველთან ვერც კორესპონდენციას აგზავნიან და ვერც რეკავენ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმარს შეეძლოს სახალხო დამცველთან დარეკვა, რაც საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს.

ინფორმირების არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს პატიმართა სათანადო ინფორმირებულობას, როგორც ზოგადად მათი უფლებების, ასევე კონკრეტულად მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლებისა და განხილვის პროცედურის შესახებ.

2. ადამიანის უფლებათა მდგომარეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანოებში

2016 წელს ჩატარებულმა მონიტორინგმა გამოავლინა, რომ ისევ მწვავედ დგას პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის საკითხი. მონიტორინგის შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ არაერთ შემთხვევაში, მაღალი ალბათობით, პოლიციის თანამშრომლების მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონოდა დაკავებისას ძალის გადამეტებას, დაკავებულზე ფიზიკურ ძალადობას და სიტყვიერ შეურაცხყოფას. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ არაერთ შემთხვევაში დროებითი მოთავსების იზოლატორში შედგენილ გარეგნული დათვალიერების ოქმში უფრო მეტი დაზიანება იყო მითითებული, ვიდრე დაკავების ოქმში. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რიგ შემთხვევებში, დაკავებულ პირს თავისა და სახის არეში აღენიშნებოდა ისეთი დაზიანებები, რომლებიც შეუძლებელი იყო, დამკავებელ პირს არ შეემჩნია. ამგვარ შემთხვევებში ჩნდება მყარი ეჭვი, რომ პირს არასათანადოდ დაკავების შემდეგ მოეპყრნენ.

კვლავ ხარვეზებით ივსება დაკავებისა და გარეგნული დათვალიერების ოქმები, პოლიციის სამმართველოებში არსებული ჟურნალები და სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაცია. პოლიციის სამმართველოში ოპერატიული მორიგე, როგორც წესი, არ ათვალიერებს დაკავებული პირების სხეულზე არსებულ დაზიანებებს. მორიგე თანამშრომელს დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნში მონაცემები დაკავების ოქმიდან გადააქვს. საგულისხმოა, რომ ხშირად, დაკავების ოქმში არ არის მითითებული პოლიციელის მხრიდან ძალის გამოყენების თაობაზე, რის უფლებასაც მას კონკრეტულ შემთხვევებში კანონმდებლობა აძლევს, ხოლო როდესაც ოქმი შეიცავს მითითებას ძალის გამოყენების შესახებ, არ არის აღწერილი, რაში გამოიხატებოდა ძალის გამოყენება, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული და არის თუ არა დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებები სწორედ ამ ძალის გამოყენების შედეგი. ასეთ ვითარებაშიც ჩნდება მყარი ეჭვი, რომ შესაძლოა პირის მიმართ ადგილი ჰქონოდა არასათანადო მოპყრობას.

გარეგნული დათვალიერების ოქმისა და სასწრაფო დახმარების ექიმის ჩანაწერები რიგ შემთხვევაში არ ემთხვევა ერთმანეთს. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ექიმმა არ მოახდინა დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანების დოკუმენტირება. გარეგნული დათვალიერების ოქმში არსებული დაზიანებები არ არის აღწერილი სამედიცინო ტერმინოლოგიით. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც არ არის დეტალურად აღწერილი სხეულზე არსებული დაზიანების ხასიათი და ლოკაცია.

პრობლემაა სამმართველოებში არსებული ჟურნალების ხარვეზებით წარმოება. მაგალითად, რიგ შემთხვევებში შეუძლებელია იმის დადგენა, როდის დააკავა პირი პოლიციის თანამშრომელმა, გაურკვეველია დაკავებულის სამმართველოში შეყვანის თარიღი/დრო, ასევე, შემდგომში რა ბედი ეწია დაკავებულს; არეულია ჟურნალებში არსებული ნუმერაცია, არ არის მითითებული, სად და რა ვითარებაში მოხდა სამართალდარღვევა, ზოგ შემთხვევებში კი, ჟურნალებში გრაფები საერთოდ არ არის შევსებული. პოლიციის სამმართველოებში/განყოფილებაში არ არის ერთიანი ფორმის ჟურნალი, სადაც აღირიცხებოდა მოქალაქის, მოწმის, გამოსაკითხი პირის მისვლისა და შენობის დატოვების ზუსტი დრო.

ცალკეულ შემთხვევებში პრობლემური იყო პოლიციის მიერ დაკავებული პირების ისეთი სამართლებრივი დაცვის გარანტიების უგულებელყოფა, როგორიცაა ოჯახთან და ადვოკატთან დაკავშირება.

წლის განმავლობაში კვლავაც პრობლემური იყო მოქალაქეებთან პოლიციელთა ე.წ. „გასაუბრების“ პრაქტიკა. კერძოდ, მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ პოლიციის თანამშრომლები რეგულარულად ესაუბრებიან პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ, ნასამართლევ პირებს, ასევე პირებს, რომლებზეც არსებობს ეჭვი, რომ შესაძლოა მომავალში ჩაიდინონ დანაშაული. დადგინდა, რომ ასეთი გასაუბრებისას პირებს არ განემარტებათ გასაუბრების მიზეზი, არც ინფორმაცია მიეწოდებათ მათი უფლებების, მათ შორის გასაუბრებაზე უარის თქმის უფლების შესახებ. ამასთან, არ დგება გასაუბრების ამსახველი ოქმი ან რაიმე სხვა დოკუმენტი, რომელსაც გასაუბრებაზე მყოფი მოქალაქე მოაწერდა ხელს და შემდგომ ეს ხელმისაწვდომი იქნებოდა პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის. სახალხო დამცველის შეფასებით, ასეთი გასაუბრებისას მოქალაქე მოწყვლად, დაუცველ მდგომარეობაში იმყოფება და ამგვარი პრაქტიკა შეიცავს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან თვითნებური, უკანონო

დაკავების, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მომეტებულ რისკს. შესაბამისად, აღნიშნული პრაქტიკაც აღმოსაფხვრელია.

საანგარიშო პერიოდში პრობლემური იყო მოქალაქეთა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანის პრაქტიკა. წლის განმავლობაში ტენდენციად გამოიკვეთა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე მოქალაქეთა ფორმალურად ნებაყოფლობით, ხოლო ფაქტობრივად, არანებაყოფლობით გადაყვანა. ამ შემთხვევებში, პირი ხელმოწერით ადასტურებს, რომ თანახმაა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაიყვანონ, მაგრამ ამავდროულად, წინასწარ იცის, რომ თუ უარს იტყვის ასეთ შემოწმებაზე, პოლიციის თანამშრომლები მას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად დააკავებენ. პრაქტიკულად, გამოდის, რომ პოლიციის თანამშრომლის მიერ ნარკოლოგიური შემოწმების შეთავაზებისთანავე პირი ფაქტობრივად დაკავებულია, მას არ შეუძლია უარი განაცხადოს ნარკოლოგიურ შემოწმებაზე და განაგრძოს თავისუფალი გადაადგილება. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ნარკოლოგიურ შემოწმებაზე ფორმალურად ნებაყოფლობით გადაყვანის შემთხვევებში, პირი, რომელიც ფაქტობრივად დაკავებულია, ვერ სარგებლობს კანონით დადგენილი სამართლებრივი დაცვის გარანტიებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასევე მანკიერია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის საფუძველზე დაკავებული პირების ნარკოლოგიური შემოწმების პრაქტიკა. კერძოდ, დაკავებული პირის მიერ ნარკოლოგიურ შემოწმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, პოლიციის თანამშრომლები, როგორც წესი, ელოდებიან დაკავებიდან 12 საათის გასვლას და მხოლოდ ამის შემდეგ ათავისუფლებენ დაკავებულ პირს.

დაკავებულ პირებს, როგორც წესი, არ განემარტებათ თავიანთი უფლებები. უფლებათა ნუსხა დაკავების ოქმის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც დაკავებული, როგორც წესი, ფორმალურად აწერს ხოლმე ხელს.

მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დაკავების ადრეული ეტაპიდანვე პროცესში ადვოკატის ჩართვის უზრუნველყოფა. გაირკვა, რომ ხშირად, ადვოკატი პროცესში ერთვება ბრალის წარდგენის ან საპროცესო შეთანხმების პირობებზე მოლაპარაკებისას. სახალხო დამცველის შეფასებით, დაკავებული პირი დაკავების ადრეულ ეტაპზე უმეტეს შემთხვევაში დაუცველია და არსებობს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის მაღალი რისკი. შესაბამისად, აუცილებელია საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა საჭირო ზომების მიღება, რათა დაკავებული პირი დაკავების ადრეული ეტაპიდანვე სარგებლობდეს ადვოკატის მომსახურებით.

სახალხო დამცველი მიესალმება პოლიციის სამმართველოების გარე და შიდა პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემების დამონტაჟების მიმდინარე და დაგეგმილ სამუშაოებს. მიუხედავად ამისა, უმეტეს შემთხვევაში, პოლიციის სამმართველოების შენობებში არ არის სათვალთვალო კამერები, ხოლო დროებითი მოთავსების იზოლატორებში ვიდეომეთვალყურეობა რეალურ რეჟიმში მიმდინარეობს და ჩანაწერები არ ინახება. სახალხო დამცველი ხაზს უსვამს ვიდეო ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ ჩანაწერების შენახვა მნიშვნელოვანი გარანტიაა წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის თვალსაზრისით და ამავე დროს წარმოადგენს არსებითი ხასიათის მტკიცებულებას დაკავებულის მხრიდან პოლიციის მიმართ ცრუ ბრალდებების წინააღმდეგ.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების სათანადო სწავლება. მწირია თანამშრომელთა მიერ გავლილი სპეციალური ტრენინგ კურსები. თანამშრომლებს არ აქვთ გავლილი ტრენინგები კონფლიქტური სიტუაციების მართვის, მედიაციის, ძალის პროპორციული გამოყენებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რომელიც გააძლიერებდა კრიტიკულ სიტუაციებში კანონის შესაბამისად, ადეკვატურად მოქმედების უნარ-ჩვევებს. არსებული ვითარება ზრდის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის რისკს.

სახალხო დამცველი მიესალმება რამდენიმე დროებითი მოთავსების იზოლატორის გაუქმებას, სადაც უკიდურესად მძიმე მატერიალური პირობები იყო. ასევე დადებითად აფასებს სხვადასხვა იზოლატორებში ჩატარებულ, მიმდინარე და დაგეგმილ სარემონტო სამუშაოებს. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაიზიარა იზოლატორებში სანიტარული კვანძების სრულად იზოლირების შესახებ სახალხო დამცველის რეკომენდაცია და გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები. მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, საქართველოს რეგიონებში არსებულ დროებითი მოთავსების ზოგიერთ იზოლატორში კვლავ გამოწვევად რჩება საკნებში ცენტრალური გათბობის, ბუნებრივი განათების და ვენტილაციის, სანიტარული კვანძის სრული იზოლირებისა და ტექნიკური გამართვის საკითხები.

3. არასათანადო მოპყრობა და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობა

2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სამართალდამცავი ორგანოებისა და პენიტენციური დაწესებულების თანაშრომელთა მიერ ჩადენილი შესაძლო არასათანადო მოპყრობის თაობაზე არაერთი განცხადება შეისწავლა.

მთელ რიგ შემთხვევებში, განცხადებების შესწავლისას სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ მოპოვებული რელევანტური ინფორმაციის საფუძველზე, შემდგომი რეაგირების მიზნით საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა. გარდა ამისა, 2016 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით 9 შემთხვევაში საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს სამართალდამცავი ორგანოებისა და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის კონკრეტულ ფაქტებზე გამოძიების დაწყების შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებებიდან, ექვსი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა მხრიდან დაკავებისას მოქალაქეების მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს ეხებოდა, ორ შემთხვევაში – პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიერ მსჯავრდებულთა მიმართ ჩადენილ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს,ხოლო 1 შემთხვევაში – ფინანსური პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტს.

საგამოძიებო ორგანოებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პროცესში, კვლავ იკვეთება გამოძიების გაჭიანურებისა და არაეფექტიანად წარმართვის პრობლემა. ამასთან, წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემად რჩება შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციის საკითხი, რაზეც ყურადღება გამახვილებულია საქართველოს სახალხო დამცველის წინა წლების ანგარიშებში. კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ექვსივე შემთხვევაში, გამოძიება დაწყებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333–ე მუხლით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, და არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური – 144^1–144^3 მუხლებით.

ნიშანდობლივია, რომ განსხვავებული ვითარებაა პენიტენციურ დაწესებულებებში გამოვლენილი შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვის შედეგად, შესაძლო არასათანადო მოპყრობის ორივე ფაქტი დაკვალიფიცირდა 144^3 მუხლით, რაც დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს.

დაკავებულთა მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების თაობაზე მომართვიანობა მაღალი იყო აჭარის, იმერეთის და კახეთის რეგიონების პოლიციის სამმართველოების თანამშრომლების მხრიდან.

საქართველოს სახალხო დამცველი, წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის, მსგავს დანაშაულებზე დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრის და ეფექტური და დამოუკიდებელი გამოძიების უზრუნველყოფის საშუალებად დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნას მიიჩნევს, რაც უკვე წლებია არის სახალხო დამცველის ერთ-ერთ მთავარი რეკომენდაცია.

ამასთან, მიმდინარე წელს სახალხო დამცველმა პირველად დაამყარა კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტთან და მის წინაშე წარადგინა მოსაზრებები სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული იმ გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე, რომლებიც უკავშირდება არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების კუთხით არსებულ სისტემურ/სტრუქტურულ პრობლემებს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ რიგ შემთხვევებში, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ საქართველოს მთავრობამ კეთილსინდისიერად შეასრულოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები.

4. პიროვნების თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება

საქართველოს სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს 2016 წელს აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემცირებას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მომზადებული შედარებითი სტატისტიკის მიხედვით, 2015 წლის 8 თვის განმავლობაში გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების საერთო რაოდენობის 31%–ი იყო პატიმრობა, ხოლო 2016 წელს იმავე დროის განმავლობაში

– მხოლოდ 28,5%–ი. ამასთან, 2016 წელს, წინა წელთან შედარებით გაზრდილია არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი, რაც აგრეთვე მისასალმებელია.

მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების უკანონო აღკვეთის შესახებ სახალხო დამცველისადმი მომართვიანობა მაღალი არ ყოფილა, ყურადსაღებია ის ცალკეული შემთხვევები, რომელთა შესწავლის შედეგად გამოიკვეთა პროცესის მწარმოებელი ორგანოების მიერ მოქალაქეთა თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დაუსაბუთებლად შეზღუდვის ფაქტები. კერძოდ, სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ ერთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ფოტო და ვიდეო მასალა, რომელიც პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მოქალაქის დაკავების ფაქტს ასახავს (ხელბორკილების დადება, დაკავების შესახებ ვერბალური განმარტება, საპატრულო პოლიციის ავტომანქანაში მოთავსება და პოლიციის შენობაში გადაყვანა, როდესაც მას არ ჰქონდა საკუთარი სურვილის შესაბამისად გადაადგილების შესაძლებლობა), საგამოძიებო ორგანოების მიერ გაცემული ოფიციალური ინფორმაციით, აღნიშნული პირი დაკავებული არ ყოფილა და მხოლოდ მოწმის სტატუსით დაიკითხა[2].

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქმე არასრულწლოვნების შესაძლო თავისუფლების უკანონო აღკვეთის და არასათანადო მოპყრობის ფაქტზეც. არასრულწლოვანები პოლიციის შენობაში შეიყვანეს 2015 წლის 15 დეკემბერს დაახლოებით 22:00 საათზე, ხოლო გაათავისუფლეს 16 დეკემბერს 06:00 საათზე. ამ დროის განმავლობაში მათ არ მიეცათ ოჯახის წევრებთან დაკავშირების საშუალება. ოფიციალური ინფორმაციით, არასრულწლოვნები იდენტიფიკაციის მიზნით წარადგინეს შსს თერჯოლის რაიონული სამმართველოს ეზოში, სადაც მოხდა მათი იდენტიფიცირება, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ, ვინაიდან მათი მხრიდან რაიმე სახის კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია, რაც განსხვავდება სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი გარემოებებისგან.

2016 წელს ასევე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ძებნილი პირის საქართველოში ექსტრადიციის შემდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ არ განიხილა საქართველოს პროკურატურის მიმართვა, ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის, გაუქმების ან ძალაში დატოვების შესახებ და ამ საკითხზე იმსჯელა მხოლოდ დაცვის მხარის მიმართვის შემდეგ, ასევე საკუთარი ინიციატივით, რამაც არაგონივრული ვადით დააყოვნა აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საკითხის გადაწყვეტა დაკავებული პირის მიმართ.

5. სამართლიანი სასამართლოს უფლება

მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, როგორც სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საქართველოს პარლამენტში ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების მიღება, რომელიც მოსამართლეთა დანიშვნა-დაწინაურების, ასევე საქმეთა ელექტრონული განაწილების მექანიზმის შექმნას ისახავს მიზნად. სახალხო დამცველი იმედს იტოვებს, რომ საქართველოს ახალი მოწვევის პარლამენტი ამ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს დაჩქარებული წესით განიხილავს და მიიღებს მესამე მოსმენით.

სახალხო დამცველმა კრიტიკულად შეაფასა საქართველოს პარლამენტის მიერ მიმდინარე წლის 14 მაისს საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები და ფორსირებულ რეჟიმში მისი განხილვის პროცესი. ცვლილებების მიხედვით, სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 9 მოსამართლიდან 7 მოსამართლე, ხოლო გადაწყვეტილების (მათ შორის ნორმის შეჩერების თაობაზე) მიღების კვორუმი 2/3–მდე გაიზარდა. ამასთანავე, არსებითად გაიზარდა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ განსახილველ საკითხთა წრეც. გარდა ამისა, კოლეგიის მხოლოდ ერთ წევრს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობის გადაწყვეტილებას, ენიჭება უფლებამოსილება მოითხოვოს საქმის პლენუმისადმი გადაცემა. დაბოლოს, ცვლილებების მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე 10–წლიანი უფლებამოსილების ვადის გასვლისთანავე ავტომატურად წყვეტს საქმიანობას.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებული ცვლილებების განხილვისა და მიღების საკანონმდებლო პროცესი იყო გაუმჭვირვალე და არ უზრუნველყოფდა განსა-

2 სისხლის სამართლის N008120316002 საქმე; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2016 წლის 21 აპრილის #992255 წერილით წარმოდგენილი ინფორმაციით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობის კედელზე პორნოგრაფიული ნაწარმოების გავრცელების ფაქტზე, მოქალაქე ე. დ. მოწმის სახით გამოკითხვის მიზნით, შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახურში გადაიყვანეს

კუთრებული მნიშვნელობის მქონე საკითხზე ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის ჯეროვნად წარმართვის შესაძლებლობას. გარდა ამისა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებებით შესაძლოა საფრთხე შეექმნას საკონსტიტუციო სასამართლოს სწრაფ და ეფექტურ ფუნქციონირებას.

2016 წლის იანვარში საქართველოს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოების ინიციატივით მიმართა საქართველოს პარლამენტსა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას. საკანონმდებლო წინადადებით სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს შესთავაზა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებისა და შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის არეალის გაფართოვება. კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება უნდა გაცდენილიყო ნორმათა კონტროლის მოდელს და უნდა განეხორციელებინა რეალური სარჩელის საფუძველზე კონსტიტუციური კონტროლი, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებისა და საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემოწმების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ინიციატივის მიხედვით, გამონაკლისის სახით, კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში დასაშვები იქნებოდა 1995 წლის 24 აგვისტოს შემდეგ საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრება. აღნიშნული გამონაკლისი იქნებოდა ერთგვარი გამოხმაურება საზოგადოებაში არსებულ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნაზე. სამწუხაროდ, საქართელოს პარლამენტი ამ საკითხის საკომიტეტო განხილვით შემოიფარგლა და ასეთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო წინადადებას შემდგომი მსვლელობა არ მიეცა.

საანგარიშო პერიოდში, გახმაურებული, ე.წ. „კაბელების“ საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა კანონის განჭვრეტადობის პრობლემა, რომლითაც საფრთხის ქვეშ დადგა პრინციპი – „არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე“. შესაბამისად, ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სასამართლო მეგობრის მოსაზრებით საქართველოს სახალხო დამცველმა იმსჯელა ინკრიმინირებული ქმედების – გაფლანგვის ბუდნოვანებაზე, რომელიც ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ქმნის, არ აკმაყოფილებს კანონის განჭვრეტადობის პრინციპს და საჭიროებს ნათელ ფორმულირებას.

2016 წელს წინა წლების მსგავსად კვლავ ფიქსირდება გონივრულ ვადაში საქმის განხილვის მოთხოვნის დარღვევა. ეს უფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ შემთხვევაში, როდესაც პირს აღკვეთილი აქვს თავისუფლება.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში ყურადღება გამახვილდა ერთ–ერთი რაიონული სასამართლოს მიერ მსჯავრდებულთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილებების ჩაბარებისა და სასამართლოს მიერ, აღნიშნულ გადაწყვეტილებებზე შეტანილი სააპელაციო საჩივრებისა და შესაბამისი საქმეების ზემდგომ ინსტანციაში გონივრულ ვადაში გადაგზავნის სისტემური ხასიათის პრობლემაზე. სამწუხაროდ, 2016 წელს დაფიქსირდა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის განხილვისა და განაჩენის გამოტანისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის უსაფუძვლოდ დარღვევის შემთხვევა. საქმის განხილვის ვადების გაჭიანურების შემთხვევები გამოვლინდა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზეც. აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა და სასამართლოებში მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობის განსაზღვრის რეკომენდაცია მისცა. აღნიშნული საკითხი დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

6. პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება

2016 წელს დაფიქსირებულ სამართალდარღვევებს წითელ ხაზად გასდევდა პირადი და ოჯახური ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის ფაქტები. რამდენიმე თვის განმავლობაში საზოგადოებისთვის ცნობად პირთა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები პერმანენტულად ვრცელდებოდა სოციალურ ქსელებსა და სხვადასხვა ვებ-გვერდებზე. არაერთხელ გავრცელდა სატელეფონო თუ პირადი საუბრების აუდიო ჩანაწერები.

საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთი საჯარო განცხადებით დაგმო აღნიშნული ტენდენცია და საქართველოს პროკურატურას სათანადო, სრულყოფილი და დროული გამოძიების წარმოებისკენ მოუწოდა. საქართველოს სახალხო დამცველმა 2016 წლის მარტში წამოიწყო კამპანია „წამმზომი ჩართუ-

ლია“, რითაც აღნიშნულ დანაშაულთა გამოძიების მიმართ არსებულ საზოგადოებრივ ინტერესს კიდევ უფრო მკაფიოდ გაესვა ხაზი.

წამმზომის ჩართვიდან 230 დღეზე მეტის გასვლის შემდეგ საქართველოს მთავარ პროკურატურას ჯერ კიდევ არ აღმოუჩენია აღნიშნული კადრების გამავრცელებელი პირები. ადეკვატური ზომები არ გატარებულა არც აგვისტოში გავრცელებულ წამების კადრების ტირაჟირების აღსაკვეთად. დღემდე, ინტერნეტ სივრცეში ამ კადრების უწყვეტ რეჟიმში ხელმისაწვდომობა იწვევს მასში აღბეჭდილი ადამიანების ღირსების შელახვას და მორალურ ტკივილს.

საქართველოს სახალხო დამცველი აგრძელებს აღნიშნულ საქმეთა შესწავლას და კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ საზოგადოებაში პირადი ცხოვრების დაცულობის განცდის განმტკიცებისა და დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თითოეული მსგავსი დანაშაულის ეფექტიანი და დროული გამოძიება.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 14 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, იმ მოტივით, რომ პირად სივრცეში შეუზღუდავი ჩარევის შესაძლებლობას არ გამორიცხავდა, არაკონსტიტუციურად ცნო ის ნორმები, რომლითაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პრაქტიკულად შეუზღუდავად ფლობს ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების შესაძლებლობას; ასევე, შეუძლია შეინახოს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, ვინ, ვის, როდის, რა ტექნიკური საშუალებით, რომელი ლოკაციიდან და როგორი ხანგრძლივობით დაუკავშირდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ფუნდამენტურ საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს, რომლისთვისაც საკონსტიტუციო სასამართლომ გონივრულ ვადად განსაზღვა 2017 წლის 31 მარტი. იმ ფონზე, რომ დღემდე საქართველოს პარლამენტს არ გადაუდგამს ნაბიჯები ამ საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებისთვის, საქართველოს სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ დროის მოკლე მონაკვეთში, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი ყველა შესაბამისი უწყების, სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, რომელიც შეიმუშავებს ცვლილებათა პაკეტს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმპლემენტაციისათის.

კვლავ არსებობს შეკითხვები და ეჭვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოიყენება ე.წ. „ოდეერების“ ინსტიტუტი კანონში შესული ცვლილებების შემდეგ და ხომ არა აქვს ადგილი ამ მიმართულებით გარკვეულ უკანონო საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტს დღემდე არ შეუქმნია დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელიც აღნიშნულ საკითხებს საფუძვლიანად და სრულყოფილად შეისწავლიდა და საზოგადოებაში არსებულ ყველა შეკითხვას გასცემდა ამომწურავ პასუხს.

7. რელიგიის თავისუფლება

რელიგიის თავისუფლების, ტოლერანტობის და თანასწორუფლებიანობის კუთხით არაერთი სისტემური პრობლემა არსებობს, რომელთა დასაძლევად სახელმწიფოს მხრიდან მიმდინარე წელსაც არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები.

ამ მხრივ, მთავარი გამოწვევა რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილ სამართალდარღვევებზე სახელმწიფოს ადეკვატური და ეფექტური რეაგირების არარსებობაა. მათი უმრავლესობა იეჰოვას მოწმეების მიმართაა ჩადენილი. ბოლო წლებში მუსლიმთა წინააღმდეგ ჩადენილ არცერთ ქმედებაზე არ დამდგარა კონკრეტული სამართლებრივი შედეგი.

მიმდინარე წელსაც შენარჩუნდა რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების უთანასწორო და არასამართლიანი წესი.

რელიგიურ უმცირესობებს საკულტო თუ სხვა ტიპის ნაგებობების მშენებლობისას, რიგ შემთხვევებში კვლავ ექმნებათ ბარიერები მშენებლობის ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან. ბათუმში მცხოვრები მუსლიმებისათვის კვლავ პრობლემად რჩება ახალი საკულტო ნაგებობის მშენებლობის საკითხი, ვინაიდან ქალაქში არსებული ერთადერთი მეჩეთი ვერ უზრუნველყოფს მლოცველებს საკმარისი სივრცით.

სახელმწიფოს მხრიდან კვლავ არ გადადგმულა ნაბიჯები რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების დასაბრუნებლად საკანონმდებლო რეგულაციების შექმნის მიზნით. ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირების აუცილებლობაზე ნათლად მეტყველებს სოფელ მოხეში მდებარე სადავო ნაგებობის მუსლიმი თემისათვის გადაცემის გადაწყვეტილების მიუღებლობა. მნიშვ-

ნელოვანია, მსგავსი საკითხების განხილვისას თემის უშუალო ჩართულობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა, რაც მოხის მეჩეთის საკითხზე მომუშავე კომისიის შემთხვევაში უზრუნველყოფილი არ ყოფილა.

8. ეროვნული უმცირესობები

ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში 2016 წელს გაგრძელდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების განხორციელება.

2016 წელს კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩებოდა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან მოვლენებსა და უშუალოდ ეროვნული უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გამართულ დისკუსიებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების მცირე მასშტაბით მონაწილეობა.

ეროვნული უმცირესობებისთვის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხი კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. საზოგადოებრივი მაუწყებელი რეგურალურად ამზადებს საინფორმაციო გადაცემებს ეროვნული უმცირესობების ენაზე და ასევე ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს აწვდის 18:00 და 20:00 საათიანი „მოამბის“ სინქრონულ თარგმანს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. აღნიშნული სიახლე დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ იგი სრულფასოვნად კვლავ ვერ უზრუნველყოფს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ინფორმირებას, რაც გარკვეულწილად განპირობებულია იმით, რომ მოსახლეობის არც თუ დიდი ნაწილი სარგებლობს ციფრული მაუწყებლობის მიღებისთვის აუცილებელი ე.წ. „სეთ-ტოპ-*ბოქსებით“.*

არსებით გამოწვევად რჩება ეროვნული უმცირესობების ენებზე სწავლების მქონე სკოლების მოსწავლეებისათვის სრულფასოვანი და ხარისხიანი განათლების მიწოდება, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია პედაგოგების დაბალი კვალიფიკაციითა და უხარისხო სახელმძღვანელოების არსებობით. კვლავ აქტუალური პრობლემაა ბილინგვური სახელმძღვანელოებისა და ბილინგვური პედაგოგების მომზადება.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში და სამოქმედო გეგმაში ასახვის მიუხედავად კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სასკოლო სახელმძღვანელოებში დისკრიმინაციული და სტერეოტიპული შინაარსის მქონე ცალკეული მასალების არსებობა. სასურველია, რომ სახელმძღვანელოებში ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვნება უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი.

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში აუცილებელია კვლავ გაგრძელდეს და გაძლიერდეს სახელმწიფო ენის შესწავლის პროგრამები, რისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგებსა და მოსახლეობას შეექმნას შესაბამისი მოტივაცია და სწავლის პირობები.

2016 წელს მიმდინარეობდა მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიურ ენის სწავლების დანერგვა. შესაბამისი ეროვნული უმცირესობების დასახლებების სკოლებში დაიწყო უდიური, ასურული, ჩეჩნური, ავარული/ხუნძური და ოსური ენების სწავლება. კვალიფიციური პედაგოგისა და სახელმძღვანელოების ნაკლებობის გამო ფერხდება ქურთულის/ყურმანჯის სწავლა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობებისთვის მშობლიური ენის შესწავლის შესაძლებლობის მიცემა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, მაგრამ ამ პროცესს გარკვეულწილად აფერხებს პედაგოგების მომზადებისა და სრულფასოვანი სახელმძღვანელოების ნაკლებობა. მნიშვნელოვანია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და დონორი ორგანიზაციების ძალისხმევით შესაძლებელი გახდეს მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენებში პედაგოგების მომზადებისა და სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის ხელშეწყობა.

2016 წელს მრავალწლიანი მოლოდინის შემდეგ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა თბილისის პეტროს ადამიანის სომხური თეატრის რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით. არსებული ინფორმაცით რეაბილიტაციის სამუშაოები სავარაუდოდ უახლოეს პერიოდში დაიწყება. კვლავ გადაუჭრელი რჩება თბილისის ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული თეატრის რეაბილიტაციისა და სრულყოფილი ფუნქციონირების საკითხი. სასურველია, რომ უახლოეს პერიოდში დაიწყოს მისი რეაბილიტაცია.

საქართველოში კვალავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ბოშების უფლებების დაცვის საკითხი, რაც ასახულია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწი-

ფო სტრატეგიაში, მაგრამ დოკუმენტის სამოქმედო გეგმაში სრულფასოვნად არ არის განსაზღვრული ბოშათა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის, განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობისა და სხვა მრავალი საკითხის გადაწყვეტის ხელშეწყობად გასატარებელი კონკრეტული აქტივობები.

9. გამოხატვის თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის მხრივ არსებითი და სისტემური ხასიათის დარღვევები დაფიქსირებული არ ყოფილა, თუმცა, ცალკეული შემთხვევები, მათ შორის საზოგადოების მხრიდან მაღალი ინტერესის საქმეებზე საჭიროებს ყურადღებას და ადეკვატურ რეაგირებას.

საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა „ტაბულას“ ჟურნალისტებზე კერძო პირების მხრიდან თავდასხმის ფაქტს. ასევე, თსუ–ში მიმდინარე მოვლენებისას გამოიკვეთა ჟურნალისტებისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლის ფაქტები. ყველა ეს შემთხვევა საჭიროებს დროულ და ეფექტიან გამოძიებასა და ყველა დამნაშავე პირის სათანადოდ დასჯას.

მიმდინარე წლის განმავლობაში კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება ტელეკომპანია „რუსთავი 2“–ის გარშემო მიმდინარე სასამართლო დავა. მოცემულ პერიოდში გადაწყვეტილება მიიღო სააპელაციო სასამართლომ და დავას ამჯერად უზენაესი სასამართლო განიხილავს. სახალხო დამცველი გამოეხმაურა სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მხარისათვის ჩასაბარებლად გაგზავნის საკითხს, რაც დადგენილ ნორმებს ეწინააღმდეგება. კანონის მიხედვით, სამოქალაქო დავებზე გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, თავად მხარეა ვალდებული განსაზღვრულ ვადებში გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. სახალხო დამცველის შეფასებით, დაუშვებელია სასამართლომ თავისი ქმედებებითა და გადაწყვეტილებებით შექმნას შერჩევითი მართლმსაჯულების განცდა, ამოიკითხოს საკუთარი უფლებამოსილება კანონს მიღმა და გამოიყენოს ის სელექციურად და დაუსაბუთებლად.

ინფორმაციის თავისუფლების ჭრილში, საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა მაღალი თანამდებობის პირების შესახებ გარკვეულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, რაც საკანონმდებლო გადაწყვეტას მოითხოვს. ამავდროულად, კვლავ დღის წესრიგში დგას ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ახალი კანონის მიღებისა და ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ კონვენციის“ რატიფიცირების საჭიროება.

10. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

საანგარიშო პერიოდში ოპოზიციური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ორგანიზებით არაერთი ფართომასშტაბიანი აქცია გაიმართა. მათ მიმდინარეობას სახალხო დამცველის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ. აქციებმა მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა.

განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო 2016 წლის 22 ივნისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების დროს, სოფელ კორცხელში განვითარებული მოვლენები, როდესაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ჯგუფმა ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა, ადგილობრივ მაჟრიტარულ საარჩევნო ოლქში შეკრებილ ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' წევრებს. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ძალადობის ამ ფაქტზე მალევე დაიწყო და 2016 წლის 1 ივლისს დაკავებულ 6 პირს წარედგინა ბრალი აღმკვეთი რონისძიების სახით შეეეფარდათ გირაო, საქმეზე გამოძიება ამ დრომდე გრძელდება და კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი ამ დრომდე არ დამდგარა.

2016 წელს ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, 17 მაისი, ფართომასშტაბიანი, საჯარო შეკრებისა და მანიფესტაციის გზით არ აღნიშნულა. ეს გამოწვეულია წარსული ნეგატიური გამოცდილებით, როცა შეკრებაში მონაწილე პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა, ხოლო სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მანიფესტანტების დაცვა აგრესიული კონტრდემონსტრანტებისაგან. ამ დღეს ცალკეული ლგბტ აქტივისტები სხვადახვა მცირემასშტაბიანი, სპონტანური ღონისძიებებით გამოეხმაურნენ. აქტივისტთა ერთი ნაწილის დაკავება მოჰყვა მათ მცდელობას, სტენსილები დაეტანათ ცალკეულ ადგილებში. სახალხო დამცველმა შესაბამის სტრუქტურებს დაკავებისას სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადამეტებისა და ჰომოფობიური ენის გამოყენების, დაკავებულებისათვის უფლებების დაუყოვნებლივ განმარტების მოვალეობის

დარღვევის საკითხების შესწავლისა და მკაცრი რეაგირებისაკენ მოუწოდა. ამ მიმართულებით გატარებული ზომების შესახებ საზოგადოებისათვის ამ დრომდე უცნობია.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი ყურადღება ასევე იყო მიმართული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განვითარებული მოვლენებისადმი, როდესაც სტუდენტური ჯგუფები განათლების სფეროში სისტემური ცვლილებების განხორციელების მოთხოვნით იყვნენ გამოსულები. შეკრებისა და მანიფესტაციის მიმდინარეობისას, რიგ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა ძალადობის ფაქტებს, პოლიციამ და თსუ–ს დაცვის სამსახურმა კი ვერ მოახერხეს ერთი მხრივ, ამ ფაქტების თავიდან არიდება და მეორე მხრივ, მათზე ეფექტიანი რეაგირება. იყო ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტებიც. აუცილებელია თითოეულ ასეთ ინციდენტზე დაუყოვნებლივი და ეფექტიანი რეაგირება, თუმცა, ამ დროისათვის, კონკრეტული შედეგების შესახებ საზოგადოებისათვის ცნობილი არ არის.

11. დისკრიმინაციის აკრძალვა

დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში კვლავ გამოწვევად რჩება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული პროცესუალური ხასიათის ხარვეზები, რომელიც კანონის პრაქტიკაში ეფექტიან აღსრულებას აფერხებს. ხარვეზების აღმოსაფხვრელად, 2015 წლის 11 თებერვალს სახალხო დამცველმა საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, თუმცა ცვლილებები ამ დრომდე არ არის მიღებული. საკანონმდებლო წინადადებით გათვალისწინებული ცვლილებები ეხება კერძო სამართლის პირთათვის ინფორმაციის წარმოდგენის და რეკომენდაციის/ზოგადი წინადადების შესრულების შედეგების სახალხო დამცველისთვის შეტყობინების ვალდებულების დაკისრებას, სასამართლოსთვის მიმართვის ვადის გაზრდას და ადმინისტრაციული წარმოებისას სახალხო დამცველის შესაძლებლობას, გააგრძელოს საქმის შესწავლა.

სახალხო დამცველის პრაქტიკაში ასევე გამოიკვეთა კანონის მატერიალურ-სამართლებრივი ხარვეზები, რამაც, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული რიგი საკითხები შესაძლოა სახალხო დამცველის რეაგირების მიღმა დატოვოს. კერძოდ, კანონში არ გვხვდება *უარი გონივრულ მისადაგებაზე, შევიწროვება და სეგრეგაცია*, როგორც დისკრიმინაციის ცალკეული ფორმები. კანონში ასევე არასრულყოფილად არის ასახული *დისკრიმინაციაზე ბრძანების* და *ვიქტიმიზაციის* ცნებები.

დისკრიმინაციის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეების 55% საჯარო სექტორს, ხოლო 45% კერძო სექტორს მიემართება. განმცხადებელთა 18% შრომით ურთიერთობებში პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო დისკრიმინაციაზე დავობს, სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია საქმეთა 8%-შია სადავო, რელიგიისა და რწმენის საფუძვლით სავარაუდო დისკრიმინაციის შესახებ განმცხადებელთა 17% დავობს, განცხადებების 7% კი შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს ეხება.

შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე ადამიანები დისკრიმინაციას როგორც კერძო პირების, ასევე საჯარო უწყებების მხრიდან სხვადასხვა სფეროში აწყდებიან. მაგალითად, აღნიშნული ნიშნით დისკრიმინაციული ქმედების ჩამდენად სახალხო დამცველმა ცნო როგორც გამქირავებელი კერძო პირი, ასევე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები და მუნიციპალური ტრანსპორტის მძღოლი.

ამასთან, ბოლო პერიოდში დადგინდა დისკრიმინაცია საჯარო უწყებების მხრიდან რელიგიის, მოქალაქეობის, სექსუალური ორიენტაციის, ქონებრივი მდგომარეობის და გაერთიანების წევრობის ნიშნით. ასევე ხშირია კერძო პირების მხრიდან დისკრიმინაციის შემთხვევები შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში.

აუცილებელია საზოგადოებაში არსებულ ნეგატიურ სტერეოტიპებთან ბრძოლა, რომელიც დისკრიმინაციის ძირეულ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. ამ მიმართულებით, სახალხო დამცველი განაგრძობს ცნობიერების ამაღლების კამპანიას.

12. საკუთრების უფლება

საანგარიშო პერიოდში, ისევე როგორც გასულ წლებში, საკუთრების უფლების დარღვევის შემთხვევები და რისკები უკავშირდება საკუთრების უფლების რეგისტრაციის კუთხით არსებულ გამოწვევებს.

დღემდე მოუგვარებელია მიწის/უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული არაერთი პრობლემა. ჯერ კიდევ არ არის დასრულებული უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის პროცესი. ყველა იმ პირს, რომელსაც კონკრეტულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების/მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები გააჩნია, საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში ჯერ კიდევ არ აქვს რეგისტრირებული. ამის უმთავრესი მიზეზი, აღნიშნული დოკუმენტების ხარვეზებით გაცემასთან ერთად (მიწის ზუსტი ადგილმდებარეობისა და ფართობის მიუთითებლობა და სხვა), ასევე არის მძიმე სოციალური ფონი და რეგისტრაციისათვის საჭირო თანხების უქონლობა (რეგისტრაციის საფასური, საკადასტრო–აზომვითი ნახაზის შედგენის ღირებულება). აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამ კუთხით რაიმე შეღავათს სოციალურად დაუცველი პირებისთვის, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს. ამ ეტაპზე არ არსებობს კერძო პირთა საკუთრებაში/მართლზომიერ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების იდენტიფიცირების სრულფასოვანი მექანიზმი, რაც წარმოშობს მაღალ რისკებს იმავე ქონების სხვა პირების, მათ შორის სახელმწიფოს საკუთრებაში დარეგისტრირების კუთხით.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი არაერთი საქმე ადასტურებს, რომ უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვის შემდეგ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო კერძო პირებს, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაშიც კი, უარს ეუბნება საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე.

სსიპ საჯარო რეესტრის მონაცემების დაზუსტებისა და ხარვეზების აღმოფხვრის პროცესი, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ე.წ. ქაღალდის ვერსიების სისტემატიზაცია და ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, რის გამოც კვლავ პრობლემად რჩება ე.წ. ზედდება/დუბლირებული რეგისტრაციები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებები. კანონის მიზანია სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთების სრულყოფილი უფლებრივი და საკადასტრო მონაცემების შექმნის უზრუნველყოფა. კანონი მოქმედებს 2018 წლის 1 ივლისამდე. მის საფუძველზე დაიწყო საპილოტო პროექტი, რომლის ფარგლებშიც მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაცია განხორციელდება გეოგრაფიული მრავალფეროვნების ნიშნით შერჩეულ საქართველოს 12 დასახლებაში.ასევე, აღნიშნული კანონით უფლების დამდგენ დოკუმენტებში გარკვეული სახის ხარვეზების არსებობის მიუხედავად შესაძლებელი გახდა საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია. ამ ეტაპზე, კანონის პრაქტიკაში მოქმედება არ შეგვისწავლია. იმედია, რომ არსებული სისტემური პრობლემების მოსაგვარებლად მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება.

13. საარჩევნო უფლება

სახალხო დამცველის აპარატმა განახორციელა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის პროექტი. სახალხო დამცველის შეფასებით, არჩევნების ჩატარებისას არ გამოვლენილა არსებითი დარღვევები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა კენჭისყრის საბოლოო შედეგზე. თუმცა, არჩევნების მიმდინარეობისას კვლავ გამოვლინდა დარღვევები, რომელთა დიდი ნაწილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების კვალიფიკაციის ნაკლებობასთან იყო დაკავშირებული.

კენჭისყრის დღეს ძირითადად გამოვლინდა საარჩევნო უბნის დაგვიანებით გახსნის, ცალკეულ უბანზე ჟურნალისტების დროულად დაშვების, საკონტროლო ფურცლის არასწორად შევსების, საარჩევნო უბანზე არაუფლებამოსილი პირის ყოფნის, კომისიის საქმიანობაში დამკვირვებლის უხეში ჩარევის შემთხვევები.

წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლინდა სააგიტაციო მასალების გავრცელებისთვის ხელის შეშლის, პლაკატების, ბილბორდების და სხვა სააგიტაციო მასალის დაზიანების ფაქტები.

წინასაარჩევნოდ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური მოძრაობების მხარდამჭერების ფიზიკურ დაპირისპირებას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძში და სოფელ კორცხელში. არჩევნებამდე 3 დღით ადრე, თბილისის ცენტრში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის წინ, ამავე პარტიის წევრისა და მოქმედი პარლამენტარის, გიორგი (გივი) თარგამაძის მანქანა აფეთქდა. კენჭისყრის მიმდინარეობისას ძალადობის ფაქტებს ჰქონდა ადგილი საქართველოს სამი რეგიონის ოთხ საარჩევნო უბანზე. სახალხო დამცველის აპარატი თავლყურს ადევნებს შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობას.

14. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება ქვეყანაში სათანადოდ რეალიზებული არ არის. მსხვილ კერძო ეკონომიკურ ინტერესებთან დაპირისპირებისას, საკითხი კულტურული მემკვიდრეობის საზიანოდ წყდება. ამ დრომდე კონკრეტულ შედეგებამდე არ მისულა საყდრისი–ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს განადგურების ფაქტზე მიმდინარე გამოძიება. ასევე, არ არის გამოძიებული რუისი–რიკოთის საავტომობილო გზის მშენებლობის პროცესში არქეოლოგიური ობიექტების განადგურების საკითხი. კანონის ცალკეული ნორმები პრაქტიკაში არ სრულდება, მაგალითად, მიწის მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების განხორციელების გადაწყვეტილების მიღებამდე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო პროცესებში ყოველთვის არ არის ჩართული. სისტემური პრობლემებია კანონმდებლობაშიც. სრულად არ არის უზრუნველყოფილი საზოგადოების ჩართულობა კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის მშენებლობის საკითხებზე. კანონის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ჩატარებისა და მისი მოვლა–პატრონობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ცალკეული სახეები არ ვრცელდება იმ ობიექტებზე, რომლებიც რელიგიური კონფესიების საკუთრებაში ან სარგებლობაშია.

15. შრომის უფლება

მიმდინარე წელს კვლავ პრობლემად რჩება შრომით უფლებებსა და შრომის უსაფრთხო გარემოს მონიტორინგზე პასუხისმგებელი ეფექტიანი მექანიზმის არარსებობა, რაც საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მხრიდან შესაბამისი ნაბიჯების დაუყოვნებლივ გადადგმას საჭიროებს.

მნიშვნელოვანი პრობლემაა დასაქმებულის სამართლიან ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხი. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შრომის სამართლიანი ანაზღაურება განისაზღვრება ორგანული კანონით. მიუხედავად ამისა, საქართველოს შრომის კანონმდებლობა არ განსაზღვრავს შრომის მინიმალური ანაზღაურების ოდენობას. აღნიშნული დადგენილია საქართველოს პრეზიდენტის N351 ბრძანებულებით და შეადგენს თვეში 20 ლარს, რაც სახელმწიფოს მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმზე[3] თითქმის 8-ჯერ ნაკლებია. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს დასაქმებულის უფლებას, მიიღოს სამართლიანი ანაზღაურება.

საანგარიშო პერიოდში შრომის პირობების გაუმჯობესების, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის და ღირსეული ანაზღაურების მოთხოვნით, ადგილი ჰქონდა ტყიბულის შახტაში და ხაშური-ზესტაფონის სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე დასაქმებულების გაფიცვას. ორივე შემთხვევაში, დამსაქმებლის მიერ უგულვებელყოფილი იყო შრომითი უფლებები, რაც გამოიხატებოდა გაუმართავი და მოძველებული ტექნიკის არსებობაში, ზეგანაკვეთური ანაზღაურების არარსებობაში, არასათანადო ეკიპირებაში, შვებულების გამოყენების წესის დარღვევაში და სხვა. შრომის პირობების მინიმალური სტანდარტის არ არსებობაზე უთითებენ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშეთში რკინიგზის გვირაბის მშენებლობაზე დასაქმებული პირებიც.

საანგარიშო პერიოდში, ადგილი ქონდა ტყიბულის მინდელის სახელობის შახტაში დასაქმებულის სამუშაოს შესრულების დროს გარდაცვალების ფაქტს[4].

მიუხედავად იმისა, რომ ათეულობით ადამიანი იღუპება და შავდება მაღაროებსა თუ მშენებლობებზე, ამ დრომდე არ არის მთავრობის მხრიდან გატარებული ქმედითი ღონისძიებები[5];[6], არ არის შექმნილი შრომის უსაფრთხოების და შრომის პირობებზე ზედამხედველობის მექანიზმი – შრომის ინსპექცია, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობას და მსგავსი შემთხვევების პრევენციას მოახდენს.

საანგარიშო პერიოდში შემოსული განცხადებების შესწავლამ ზოგიერთ შემთხვევაში ცხადყო, რომ საჯარო მოხელეთა საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებე-

3 2016 წლის ივნისის მდგომარეობით 157,3 ლარი.

4 აღნიშნულზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240–ე მუხლით მიმდინარეობს (სამთო–სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია)

5 დასაქმებულთა ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოთი უზრუნველყოფისათვის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N81 კონვენციის (შრომის ინსპექციის შესახებ), N129 კონვენციის (სოფლის მეურნეობაში შრომის ინსპექციის შესახებ), N155 კონვენციისა (შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის შესახებ) და ევროპის სოციალური ქარტიის მე–3 მუხლის (უსაფრთხო და ჰიგიენური სამუშაო პირობებით სარგებლობის უფლება) რატიფიცირების პროცესი.

6 დღემდე არ არის ინიცირებული „შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის შესახებ“ კანონის პროექტი.

ბი დაუსაბუთებელია, მიღებულია საქმის გარემოებათა შეუსწავლელად და ხელყოფს დასაქმებულის უფლებებს. ასევე, გამოიკვეთა საჯარო სამსახურში ატესტაციისა და კონკურსის ჩატარებისას კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტები, როდესაც შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ კონკრეტულად რა გახდა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. პრობლემაა საჯარო სამსახურში ზეგანაკვეთური სამუშაო საათების აღრიცხვისა და ანაზღაურების საკითხიც.

16. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება

გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მნიშვნელოვანი ხარვეზებით გამოირჩევა. პრინციპულად მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ გაატაროს სისტემური გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ცვლილებები, ამ პროცესში მაქსიმალურად ჩართოს დარგის სპეციალისტები და მოახდინოს მათი რეკომენდაციების შესაბამისად შემუშავებული კანონპროექტის დროულად ინიცირება/ დამტკიცება. ცვლილებას საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების არსებული სისტემა, რომელიც არ შეეხება საქმიანობების მნიშვნელოვან ნაწილს. ასევე, არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი საზოგადოების ჩართულობა გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. პრობლემაა ისიც, რომ ჰიდროელექტროსადგურებთან დაკავშირებით, სახელმწიფოსა და პოტენციურ ინვესტორს შორის მემორანდუმის გაფორმების შესაძლებლობა, კანონმდებლობით, გარემოზე ზემოქმედების შეფასებამდეა გათვალისწინებული. აღნიშნული საკითხები უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყანაში ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებით სარგებლობაზე და აისახება პრაქტიკაში, მათ შორის, ჰიდროელექტროსადგურებისა თუ სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობისას.

გამოიკვეთა სპეციალურ ზონალურ შეთანხმებებთან დაკავშირებული პრობლემა. კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მიღებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზრდის (შენობა-ნაგებობების სართულიანობა) გადაწყვეტილებები არ შეიცავს კონკრეტულ დასაბუთებას და უცნობი რჩება, თუ რატომ იქნა მიჩნეული ქალაქთმშენებლობის პარამეტრების ცვლილება მიზანშეწონილად. ასეთი პრაქტიკა მნიშვნელოვნად აზიანებს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას.

ჯანსაღი გარემოს არსებობას ხელს უშლის ხმაურით დაბინძურება და მის წინააღმდეგ ეფექტიანი მექანიზმების არარსებობა. ასეთი შემთხვევებისთვის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობის რაიმე ზომას, რაც დროულად შესაცვლელია.

17. ჯანდაცვის უფლება

ჯანდაცვის უფლების ჭრილში მნიშვნელოვან პრობლემად იკვეთება ის გარემოება, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა იმ პირებისათვის, რომლებიც 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით კერძო სადაზღვევო სქემებში იყვნენ ჩართულნი, სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კერძოდ, ისინი სარგებლობენ მხოლოდ მინიმალური პაკეტით, რომელიც სერვისების მხოლოდ მცირე რაოდენობას ფარავს, რაც არ არის საკმარისი. ის გარემოება, რომ კონკრეტული პირი 2013 წლის 1 ივლისის შემდეგ კერძო დაზღვევით არ სარგებლობს, ვითარებას არ ცვლის. საკითხის მსგავსი სახით დარეგულირება დისკრიმინაციულია და ეს შეზღუდვა აუცილებლად გასაუქმებელია.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმის ფარგლებში, ასევე გამოიკვეთა ცალკეული ხარვეზები სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მუშაობაში. იგულისხმება პროცედურული დარღვევები, რომელსაც ადგილი ჰქონდა სააგენტოში წარდგენილი საჩივრის განხილვისას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჭიანურდება თამბაქოს კონტროლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დახვეწის პროცესი. გარდა იმისა, რომ თამბაქოს კონტროლის სფეროში ადგილობრივი კანონმდებლობა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, არსებობს სერიოზული შეუსაბამობა მოქმედ კანონმდებლობასა და პრაქტიკას შორის. დღემდე სრულად არ არის აკრძალული თამბაქოს მოხმარება საზოგადოებრივი თავშეყრის ყველა დახურულ ადგილას და საზოგადოებრივ ტრანსპორტში, რაც ძალზედ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს და საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

18. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

2016 წელს ბავშვთა უფლებების სფეროში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან, მისასალმებელია, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ"; ასევე, 2016 წლის 12 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე" N437 დადგენილება, რომელიც არეგულირებს ძალადობის მსხვერპლ და მიუსაფარ ბავშვთა იდენტიფიცირების, დაცვისა და დახმარების ღონისძიებებს, მოიცავს პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოთა გაფართოებულ წრესა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულებას ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების სფეროში. განხორციელებულ ცვლილებებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა მათი პრაქტიკაში ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა.

სახალხო დამცველი მთელი ქვეყნის მასშტაბით კვლავ ინტენსიურად შეისწავლის ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, სკოლა–პანსიონებში, სკოლამდელ სააღმზრდელო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების ადგილებში. გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატი იკვლევს ბავშვის უფლებათა დარღვევის ინდივიდუალურ შემთხვევებს და განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას ოჯახში ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ადეკვატური სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პირობების უზრუნველყოფაზე, ბავშვთა მოწყვლადი ჯგუფების უფლებების აღდგენასა და დაცვაზე.

2016 წელს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზმა გვიჩვენა, რომ კვლავ პრობლემად რჩება ბავშვთა სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონისგან მათი დაცვის უფლების დაცვა. ხშირად იკვეთება, რომ პრობლემურია ბავშვების საჭირო რაოდენობის საკვებით უზრუნველყოფა, რაც გამოწვეულია ოჯახის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით. ოჯახი და სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნებს სათანადო საცხოვრებელი პირობებით, რაც რისკის ქვეშ აყენებს ბავშვის უსაფრთხო განვითარებას. განცხადებებში მოქალაქეები ხშირად მიუთითებენ კონკრეტულ სახელმწიფო პროგრამაში ჩართვისა და პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღების პროცესის გაჭიანურებაზე, რის გამოც მნიშვნელოვნად მცირდება ბავშვზე ზრუნვისა და სოციალური პროგრამების ეფექტიანობა და დროული ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კვლავ პრობლემური იყო 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის პრევენციისა და შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება პასუხისმგებელი უწყებების მიერ. საქმისწარმოების შედეგად გამოკვეთა, რომ ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის გამომწვევ რისკებს შორის ფიგურირებს სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის, ხარისხიანი და დროული მომსახურების, ანტენატალური სერვისების გამართულობის, ინტრანატალური დახმარების დაწესებულებების სათანადო სამედიცინო ინვენტარითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვის პრობლემები; ასევე, უნდა აღინიშნოს ორსულთა პატრონაჟის სისტემა, მეან–გინეკოლოგებისა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია, პერინატალური მომსახურების ხარისხი, მშობელთა ცნობიერების დაბალი დონე დაკავშირებული ინფორმაციული ხელმისაწვდომობის უფლებასთან და ა.შ. აღნიშნული პრობლემების პრევენციის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა 2016 წლის 23 თებერვალს, წინადადებით მიმართა საქართველოს მთავრობას 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის პრევენციისა და შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების მოთხოვნით. აღნიშნული წინადადების მიხედვით, ბავშვთა სიკვილიანობის პრევენციია/შემცირებისათვის საჭირო იყო, მომხდარიყო სტრატეგიისა და სპეციალური სამოქმედო გეგმის შემუშავება, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება, პერსონალის კვალიფიკაციის გაუმჯობესება და სხვა რელევანტური ღონისძიებების გატარება.

გარდა ამისა, 2016 წელს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრში მიმდინარე საქმისწარმოებისა და ჩატარებული მონიტორინგის ფარგლებში, კვლავ გამოვლინდა ბავშვის მიმართ სავარაუდო ძალადობის მაღალი მაჩვენებელი. ამ კუთხით დღემდე გამოწვევას წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიკაციის, მათი რეაბილიტაციისა და დაცვის საკითხი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების ჩართულობა, რათა ბავშვის მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტის შემთხვევაში, დროულად მიმართონ პასუხისმგებელ ორგანოებს. პრობლემურია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვებს შორის ბულინგის შემთხვევები. მნიშვნელოვანია ამ კუთხით გატარდეს ადეკვატური პრევენციული ზომები, დროულად გამოვლინდეს და აღირიცხოს ბულინგის ფაქტები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ძალადობისგან დაცვის საკითხი. ამ მხრივ, გამოიკვეთა, რომ პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან განხორციელებული რეაგირება ხშირ შემთხვევაში არ არის ეფექტიანი და დროული. მნიშვნელოვანია გაიზარდოს მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავე მობილური ჯგუფების რაოდენობა, რაც ღამის საათებშიც შესაძლებელს გახდიდა რეაგირებას, რაც ამ ეტაპზე პრობლემას წარმოადგენს. ასევე, მნიშვნელოვანია, გაიზარდოს საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან პრობლემის გაცნობიერების დონე ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების დაცვასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს სამართალდამცავ ორგანოებსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის კოორდინაციას და ამ გზით დროული და ადეკვატური ღონისძიებების გატარებას.

2015–2016 წლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის სერვისში ჩართულ ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. აღნიშნული კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს რეინტეგრირებულ ოჯახთა დაცვა ფარდობითი სიღარიბისგან, მინდობით აღმზრდელ ოჯახთა სისტემური გადამზადება და სერვისებში ჩართულ ბავშვთა დაცვა ყველა ტიპის ძალადობისგან.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შრომითი ექსპლუატაციის შედეგად, სახელმწიფო მზრუნველობაში 150 არასრულწლოვანი იქნა ჩართული[7]. 2016 წელს არასრულწლოვანთა დასაქმების შემთხვევები გამოვლინდა 6 კერძო ორგანიზაციაში[8]. აღნიშნულ დაწესებულებებში შეინიშნებოდა მიკროკლიმატისა და სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაუცველობა, მაღალი იყო პროფესიულ დაავადებათა რისკი[9]. რაც შეეხება შრომის უკიდურეს ფორმებს, საყურადღებოა, რომ მიმდინარე წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 3 საქმეზე დაიწყო გამოძიება არასრულწლოვნის მონაწილეობით პორნოგრაფიული მასალის ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონო დამზადებისა და გასაღების სავარაუდო შემთხვევაზე[10].

19. ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა საქართველოში

ქალთა უფლებრივი მდგომარეობის და გენდერული თანასწორობის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, კვლავ რჩება გამოწვევები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას და ძალისხმევას საჭიროებს.

სამწუხაროდ, ამ დრომდე არ არის რატიფიცირებული „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენცია, რომელიც უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს შეიტანდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის არსებულ მექანიზმებში. საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემებით, 2016 წლის 1 იანვრიდან 31 ივლისის ჩათვლით, ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 20 საქმეზე. ამათგან 10 (7 - მკვლელობა; 3 - მკვლელობის მცდელობა) სისხლის სამართლის საქმეზე გამოიკვეთა ოჯახური დანაშაულის ნიშნები; ხოლო 10 (8 - მკვლელობა; 2 - მკვლელობის მცდელობა) სისხლის სამართლის საქმეზე - სხვა მოტივი. 2016 წლის 1 იანვრიდან 31 ივლისის ჩათვლით, ქალთა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე (ოჯახის წევრის მხრიდან), რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ერთი პირის მიმართ. ასევე, ქმრის მიერ ცოლის წამების ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ.[11]

კვლავ პრობლემას წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალადობის განმეორების რისკის შეფასება და მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავება. სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებს კვლავ უჭირთ ფსიქოლოგიური ძალადობისა და მუქარის გამოვლენა. კვლავ ბუნდოვანია სოციალური მუშაკების როლი და მათი ჩართულობა ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესწავლის პროცესში.

7 საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, კორესპონდენცია N01–70670, 19/09/2016.
8 იქვე.
9 იქვე.
10 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, კორესპონდენცია N2426109, 27/09/2016.
11 საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 15 აგვისტოს წერილი N 13/53417

მნიშვნელოვანი გამოწვევაა ბავშვთა და **ადრეულ ასაკში ქორწინების** შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების და პრევენციული ღონისძიებების ჯეროვანი გატარების საკითხი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით[12], 2016 წლის 6 თვის მონაცემით (იანვარი-ივლისი) ადრეულ ასაკში ქორწინების მიზეზით საბაზო საფეხურზე სწავლა შეწყვიტა 43 მოსწავლემ. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სამართალდამცავი უწყებების რეაგირების მაჩვენებლის ზრდა, რაც დადებითი ტენდენციაა. თუმცა, არსებული გამოწვევების ფონზე კვლავ დაბრკოლებად რჩება საზოგადოების, მათ შორის, ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების, გულგრილი დამოკიდებულება, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ადრეულ ასაკში ქორწინებას პრობლემად არ აღიქვამენ.

მისასალმებელია საქართველოს სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც 2016 წლის 1 იანვრიდან 17-დან 18 წლამდე პირთა ქორწინების რეგისტრაციის წესი შეიცვალა და ქორწინებაზე ნებართვის გაცემა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია.

ქალები კვლავ განიცდიან უთანასწორო მოპყრობასა და დისკრიმინაციას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება **გადაწყვეტილების მიღების პროცესებში** მათი ჩართულობის შეფასებისას.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით ჩატარებულმა კვლევებმა და ანალიზმა[13] აჩვენა, რომ მაჟორიტარობის კანდიდატების საერთო რაოდენობის მხოლოდ 17% იყო ქალი. რაც შეეხება პარტიულ სიაში ქალ კანდიდატთა რაოდენობას, ეს მაჩვენებელი 37% გახლდათ. აღნიშნული ნათელი მაგალითია იმისა, რომ პარტიებმა სიებში კვლავ ვერ მოიძიეს ადგილი ქალი კანდიდატებისთვის. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს სავალდებულო გენდერული კვოტის შემოღების აუცილებლობას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია **გენდერული მეინსტრიმინგის** მიმართულებით არსებული პრაქტიკისა და გამოწვევების შესწავლა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგებმა ცხადყო, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე, როგორც სამინისტროებში, ისე სახელმწიფო მინისტრის აპარატებში, დასაქმებულთა უმრავლესობა ქალია, თუმცა ხელმძღვანელ პოზიციებზე ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილნი.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიმართულებით, აღსანიშნავია ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობით წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მიერ საქართველოს შესახებ შეფასების ანგარიშის გამოქვეყნება, რომელშიც ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესია ასახული. მისასალმებელია, რომ მეორე რაუნდის შეფასების ანგარიშში გამოყენებულია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრების მონიტორინგის შედეგები. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებებს სერვისების დახვეწასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისას სახელმწიფოს აკლია გენდერულად მგრძნობიარე მიდგომა პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა **ქალთა შრომითი უფლებების დაცვისა და ეკონომიური გაძლიერების** მიმართულებით. უფრო მეტიც, საქართველოს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა სექსუალური შევიწროების დეფინიციის განსაზღვრის შესახებ კანონპროექტს, რომელიც ადგენდა პასუხისმგებლობას სექსუალური შევიწროებისთვის, მათ შორის შრომითი ურთიერთობებისას სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი (სიტყვიერი ან ფიზიკური) ქცევისთვის. კვლავ არ მომხდარა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183-ე დედობის დაცვის შესახებ კონვენციის რატიფიცირება.

რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების მიმართულებით, მნიშვნელოვანია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული 2017-2021 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ეროვნული პოლიტიკის, სტრატეგიისა და პროგრამების შემუშავებაზე აკეთებს აქცენტს. სამოქმედო გეგმა აგრეთვე მოიცავს რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის შესახებ განათლებას, რაზეც სახალხო დამცველის აპარატის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც იყო საუბარი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო ხასიათის შესაბამისი სწავლება/სემინარების დანერგვა და ჩატარება ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისთვის.

---

12 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 15 აგვისტოს წერილი N MES 5 16 00962255

13 The information is available at: https://www.ndi.org/files/NDI_Statement_WomensParticipation_Georgia2016_Final_GE.pdf [Last accessed on October 13, 2016].

შემაშფოთებელია, **ქალთა გენიტალიების დასახიჩრების პრაქტიკა,** რომელიც ყვარლის მუნიციპალიტეტში გამოვლინდა. სამწუხაროდ, მოსახლეობა არ ფლობს ინფორმაციას საკითხის სირთულის, რისკებისა და გართულებების შესახებ. ასევე, არ იციან თუ რა მიზანს ემსახურება აღნიშნული პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ქალის გენიტალიების დასახიჩრება უფლებადარღვევის უკიდურესი ფორმაა, რომელიც არღვევს ქალის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და წამების აკრძალვის უფლებებს. ამგვარი პრაქტიკა ძირითადად ქალზე და მის სხეულზე კონტროლის მიზნით ხორციელდება. მით უფრო, სახლის პირობებში, გენიტალიებზე მანიპულაციის ჩატარებამ, შესაძლოა, მრავალი გართულება გამოიწვიოს.

20. ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოს სახალხო დამცველის დაკვირვება ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები, ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საკმარისი არ არის.

საზოგადოებაში დამკვიდრებული ჰომოფობიური დამოკიდებულებისა და სიძულვილის მაღალი მაჩვენებლის გამო, ლგბტ თემის აქტივისტებმა ვერც 2016 წლის 17 მაისს შეძლეს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზება და ვერ მოხერხდა „ჰომოფობიის და ტრანსფობიისა წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის“ აღნიშვნა ღია სივრცეში. ლგბტ აქტივისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის განცხადებით, ძალადობის მოსალოდნელი საფრთხეებისა და ღონისძიების უსაფრთხოდ ჩატარების გარანტიების უქონლობის გამო, მათ უარი განაცხადეს საჯარო გამოსვლაზე. ამასთან, 17 მაისს, გამთენიისას 10 ლგბტ აქტივისტი დააკავეს სტენსილების ხატვისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის გამო. დაკავებულებმა საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს განუცხადეს, რომ მათი დაკავება განხორციელდა უხეში ფორმებით, ყოველგვარი განმარტების გარეშე და ჰომოფობიური ენის გამოყენებით.

კვლავ გამოწვევად რჩება სიძულვილით განპირობებული ძალადობრივი ქმედებების პრევენცია და ჰომოფობიური გამოვლინებების აღკვეთა, რისი ნათელი დადასტურებაცაა 2016 წლის 14 ოქტომბერს ტრანსგენდერი ქალის მიმართ ჩადენილი ძალადობრივი ფაქტი. მნიშვნელოვანია, რომ გამოძიების პროცესში მსჯელობა წარიმართოს სავარაუდო სიძულვილის მოტივზე და გაირკვეს, თუ რა სახის საგამოძიებო მოქმედებები გატარდა ასეთი მოტივის გამოსავლენად.

უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი გბტ პატიმრების უფლებრივი მდგომარეობა. გბტ პატიმრები სხვა პატიმრების მსგავსად კვლავ არ არიან ჩართული დაწესებულებაში განხორციელებულ სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო, სპორტულ, კულტურულ თუ სხვა ღონისძიებებში. მიუხედავად არაერთი რეკომენდაციისა, ნაბიჯები არ გადადგმულა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა ცნობიერების ასამაღლებლად და არ გატარებულა ღონისძიებები პატიმართა შორის მიმღებლობის გასაზრდელად.

მთავარ გამოწვევად რჩება ტრანსგენდერი პირებისთვის სქესის სამართლებრივი აღიარება, რომელიც მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული დოკუმენტები შეიცავენ სახელისა და სქესის მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანსგენდერ ადამიანებს არ ეძლევათ სამოქალაქო დოკუმენტებში სქესის აღმნიშვნელი ჩანაწერის შეცვლის შესაძლებლობა, ამ დოკუმენტებით სარგებლობისას იზრდება მათი დისკრიმინაციის რისკი.

21. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა

2016 წელს ორი წელი შესრულდა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირებიდან. ამასთან დღის წესრიგში ისევ დგას დასახელებული დოკუმენტის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების პრობლემა.

საანგარიშო პერიოდში გამოწვევად რჩება აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულების აღსრულების ქმედითი და ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, რომლის საბოლოო სახით ფორმირება მნიშვნელოვანია მის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციის უზრუნველყოფისთვის.

2016 წელს აქტიურად წარიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, როგორც კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და აღსრულების მონიტორინგის ორგანოს საქმიანობა. საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრებების გათვალისწინებით დაიგეგმა სხვადასხვა აქტივობები.

ქმედუნარიანობის სამართლებრივი რეფორმის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად სისტემურად დგას მხარდაჭერის დანიშვნის ბლანკეტურობის, ქმედუნარიანობის სრულად ჩამორთმევისა და პლენარული მეურვეობის პრობლემები; საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ, შაბლონური და დაუსაბუთებელია.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიულ ერთეულებში – ბავშვთა სახლებში და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატებში განთავსებული ბენეფიციარების უფლებათა დაცვის ხარისხი არ შეესაბამება გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის, სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს. არსებული პრობლემები იწვევს ბენეფიციართა სხვადასხვა უფლებების დარღვევებს, მათ შორის მათი სიცოცხლის უფლების დარღვევას. გასულ პერიოდში, სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში დაფიქსირდა ბენეფიციართა გარდაცვალების 3 შემთხვევა.

2016 წლის განმავლობაში კვლავ პრობლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა თუ ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ქვეყნის მასშტაბით იყო 1115 ადაპტირებული უბანი, რაც ყველა არსებული უბნის (3634 საარჩევნო უბანი) მხოლოდ მესამედს შეადგენს.

სახელმწიფოს წინაშე არსებული ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა, სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზება და დასაქმება.

ხარვეზებით მიმდინარეობს ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით რეგიონებში, არ არის ჩართული აღნიშნულ პროცესში. ამასთან, გამოწვევაა სწავლების ხარისხი და უწყვეტობა.

ქვეყანაში არ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ საჭირო სტატისტიკის წარმოება, კვლევითი მონაცემების შეგროვება, რაც უზრუნველყოფს კონვენციის ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას.

22. ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

ხანდაზმულ პირთა უფლებების დაცვის კუთხით ქვეყანაში არსებული ვითარება ჯერ კიდევ ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებსა და საერთაშორისო მიდგომებს.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია“, რომელიც მოიცავს საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის ძირითად მიმართულებებს და მიზნებს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აღმასრულებელ ხელისუფლებას 2016–2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება 2016 წლის 1 აგვისტომდე დაევალა, სამოქმედო გეგმა ამ დრომდე არ არის მიღებული და ეს უარყოფითად აისახება ხანდაზმულთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

2016 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის სახელზე შემოსული განცხადებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ასაკოვანი ადამიანების უმრავლესობა მძიმე სოციალურ–ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს. განსაკუთრებული პრობლემაა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მათი რეგისტრაციის შემდეგ სახელმწიფო შემწეობის დანიშვნა.

ასაკოვანი ადამიანების უმრავლესობას არ მიუწვდება ხელი ადეკვატურ საცხოვრებელზე, სოციალურ სერვისებსა და დაცვის მექანიზმებზე, რის გამოც, სიღარიბის, უსახლკარობისა და იზოლაციის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. ხშირია მათ მიმართ ძალადობის ფაქტები. არსებული სახელმწიფო პროგრამებით არ არის გათვალისწინებული ხანდაზმულთა ალტერნატიული ზრუნვის სერვისები, არ მუშავდება მიზნობრივი პროგრამები, პრობლემურია ადგილობრივ დონეზე ამ პირთა სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის საკითხი.

23. სათანადო საცხოვრებლის უფლება

რიგი მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში, საბინაო ფონდის შექმნის მიზნით დაგეგმილია სოციალური სახლების მშენებლობა, სადაც, დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად განთავსდებიან უსახლკარო ოჯახები. ადგილობრივი თვითმმართველობა მოსახლეობას ეხმარება სამშენებლო მასალით, რაც ასევე მისასალმებელია. 2016 წლის განმავლობაში ფუნქციონირებას განაგრძობდა ე.წ. ლილოს თავშესაფარი, რომელიც 2015 წლის ბოლოს გაიხსნა.

თუმცა, მსგავსი ცალკეული აქტივობები სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციის კუთხით არსებულ სისტემურ პრობლემებს ვერ აგვარებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცენტრალური ხელისუფლების პასიური როლი. ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ გამოჩენილი ცალკეული ძალისხმევა ვითარებას რადიკალურად ვერ ცვლის. კვლავ პრობლემად რჩება გამართული საკანონმდებლო ბაზის, მათ შორის უსახლკარო პირის სრულყოფილი დეფინიციის არარსებობა; უსახლკარო პირთა შესახებ სტატისტიკური მონაცემების არქონა და შესაბამისად, უსახლკარობის მასშტაბების ბუნდოვანება; ამ მიმართულებით ინფრასტრუქტურული რესურსის არარსებობა, გამოყოფილი ფინანსური სახსრების სიმწირე და სხვა. ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე, როგორც წესი, უსახლკარო პირად რეგისტრაციის პროცედურა გაწერილი არ არის. გამონაკლისია რამდენიმე მუნიციპალიტეტი.

მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სხვადასხვა ობიექტებში შეჭრილი პირების უსაფრთხო საცხოვრებელი პირობებითა და საბაზისო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა, ელექტროენერგიაზე, სასმელ წყალზე, კანალიზაციის სისტემაზე ხელმისაწვდომობა. კანონმდებლობის მიხედვით, მათ ასევე ეზღუდებათ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია და სოციალურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობა.

უსახლკარობის პრობლემის მოგვარება სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულ საკითხს არ წარმოადგენს, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016-2017 წლებისათვის)“ საერთოდ არ ითვალისწინებს რაიმე აქტივობას უსახლკარო პირთა სათანადო საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად.

წინა წლების მსგავსად კვლავ პრობლემას წარმოადგენს ბათუმში ე.წ. ,,მუყაოს დასახლება'', სადაც გაუსაძლისი პირობებია საცხოვრებლად, განსაკუთრებით კი მცირეწლოვანი ბავშვებისთვის და შშმ პირებისთვის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და ადგილობრივი თვითმართველობა 2012 წლიდან სწავლობს საკითხს, თუმცა ქმედითი ნაბიჯები დღემდე არ გადადგმულა.

24. სოციალური უზრუნველყოფის უფლება

ოჯახების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგიის მოქმედება პრაქტიკაში გარკვეულ ხარვეზებს ავლენს. ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, საცხოვრებელ ნაწილში იატაკის მასალას – პარკეტს აქვს მაღალი კოეფიციენტი, რაც არაგონივრულად ზრდის სარეიტინგო ქულათა რაოდენობას და არ იძლევა მოწყვლადი ჯგუფის სწორად გამოვლენის შესაძლებლობას. ასევე, მეთოდოლოგიის ფარგლებში შემუშავებულ ფორმულაში მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულება მყარი სახითაა მითითებული და უცვლელია იმის მიუხედავად, რომ ის ყოველთვიურად იცვლება.

მნიშვნელოვანი საკითხია ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ სხვადასხვა სოციალური პროგრამების მხოლოდ დაბალი ქულების მქონე ბენეფიციარებისათვის შეთავაზება და შედარებით მაღალი ქულის მქონე ოჯახების საჭიროებების იგნორირება. ხაზგასასმელია, რომ ოჯახების ეს უკანასკნელი ჯგუფი საარსებო შემწეობის მიმღებიც არ არის.

ოჯახების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების პროცესში გამოკვეთილი ცალკეულ ხარვეზები სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ „ოჯა-

ხის დეკლარაციაში“ მონაცემების არაზუსტად მითითებასა და ბენეფიციარ ოჯახში ვიზიტის პერიოდის დარღვევებთან არის დაკავშირებული.

პრობლემატურია სოციალური შემწეობის მიღების სტანდარტებთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირება, რასაც შემდგომ მოყვება დავები სოციალურ სააგენტოსთან და სოციალურ აგენტთან.

ყურადსაღებია ასევე ის ფაქტი, რომ სოციალურად დაუცველი, მარტოხელა და ხანდაზმული ბენეფიციარებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სასადილოებად გამოყოფილი შენობები, ხშირ შემთხვევაში ვერ პასუხობს ვერანაირ სტანდარტს. სასადილოსთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობები არის ავარიული, დაზიანებული აქვს ჭერი, კედლები, იატაკი. არ არის დაცული ჰიგიენურ-სანიტარული პირობები. რიგ შემთხვევაში, სასადილო არ არის აღჭურვილი სამზარეულოსთვის საჭირო ინვენტარით. არ აქვს სველი წერტილი. ხშირია წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდების პრობლემა. არ არსებობს გათბობის სისტემა. შედეგად, ბენეფიციარებს საფრთხისშემცველ და ღირსებისშემლახველ პირობებში უწევთ საკვების მიღება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აღნიშნულის მიზეზად ადგილობრივ ბიუჯეტში თანხების სიმწირეს უკავშირებენ.

მნიშვნელოვანია ე.წ. „მთის კანონის“ ამოქმედება და დასახლებებისათვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭება. გაუგებრობას იწვევს ის გარემოება, რომ რიგ შემთხვევებში, ერთიდაიმავე მუნიციპალიტეტში, ერთიდაიგავე სიმაღლზე და იმავე გეოგრაფიულ არეალში მყოფი დასახლებებიდან ზოგიერთს ენიჭება მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, სხვას კი არა. აუცილებელია მოსახლეობის უკეთესი ინფორმირება, აღნიშნული გადაწყვეტილებების დასაბუთების შესახებ.

25. იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა

დევნილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებამდე, სახელმწიფოს პრიორიტეტად კვლავ მათი გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალურ ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა რჩება. გასული წლების მსგავსად, დადებითად უნდა შეფასდეს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესის მიმდინარეობა მთელი საქართველოს მასშტაბით. მიუხედავად იმისა, რომ არა ერთი ნგრევადი ობიექტიდან განხორციელდა დევნილთა განსახლება, რომლებზეც სახალხო დამცველი თავის ყოველწლიურ ანგარიშებში საუბრობდა კვლავ მწვავე პრობლემად რჩება ავარიულ შენობებში იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების საკითხი. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გადადგას შესაბამისი ნაბიჯები აღნიშნული საცხოვრებლების რეაბილიტაციის, დევნილთა დროებითი განსახლებისა თუ სხვა გზების მეშვეობით.

გარდა გრძელვადიანი განსახლებისა, აუცილებელია დევნილთა ინტეგრაცია მათი განსახლების ადგილებში. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ უზრუნველყოს დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობა.

დადებითად უნდა შეფასდეს, „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის-დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცება. დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი გადაჭრის მიზნით, აუცილებელია მათი საჭიროებებზე მორგებული მიდგომა. აუცილებელია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ზემოაღნიშნული სტრატეგიით გაწერილი ღონისძიებების შესრულებას.

სახელმწიფომ უნდა განაგრძოს მის საკუთრებაში არსებული, დევნილთათვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული ობიექტების მათთვის კერძო საკუთრებაში გადაცემა. ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტებში, საცხოვრებელი ფართების პრივატიზაციის პროცესის დაწყებამდე, განხორციელდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები და მხოლოდ რეაბილიტირებული შენობების გადაცემა მოხდეს დევნილთა საკუთრებაში.

26. კონფლიქტებით დაზარალებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

2016 წელი კვლავ სტაბილურად მძიმე იყო კონფლიქტით დაზარალებულ პირთათვის. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მთავარ პრობლემას მძიმე სოციალური ყოფა და შემოსავლის წყაროს მოძიება წარმოადგენს. ხელისუფლების მიერ 2013-2015 წლებში შემუშავებულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში (შიდა ქართლი,

სამეგრელო) სოციალური ინფრასტრუქტურა, განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, და აშ. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება 2008 წლის ომის დროს დაზიანებული სახლების რეაბილიტაციის ან შესაბამისი კომპენსაციის საკითხი, იმ ოჯახებისთვის, რომელთაც ამ დრომდე სახელმწიფოსგან დახმარება არ მიუღიათ.

ამას ემატება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემები, როგორიცაა დაკავებები გამყოფ ხაზზე, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა, რუსეთის ფედერაციისა და დე ფაქტო შეიარაღებული ძალების სამხედრო წვრთნები, რომლებიც უშუალოდ გამყოფი ხაზის სიახლოვეს ტარდება, და ა.შ.

ოფიციალური სტატისტიკით, 2016 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე 116 ადამიანი იყო დაკავებული (ეს რიცხვი 2015 წელს 148-ს შეადგენდა), ხოლო აფხაზეთის მიმართულებით დაკავების 1300-ზე მეტი შემთხვევა გამოვლინდა (2015 წლის მონაცემით ეს რიცხვი 272 იყო), თუმცა დიდი ალბათობით, აფხაზეთის გამყოფ ხაზზე დაკავებების რაოდენობა გაცილებით მაღალია.

შემაშფოთებელია, რომ რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ძალები კვლავ აკავებენ არასრულწლოვნებს, ორსულებს, პაციენტებს და ხანდაზმულებს, ხოლო რუსულ სამხედრო ბაზებზე დაკავების დროს რეგულარული ხასიათი აქვს არასათანადო და ღირსების შემლახავ მოპყრობას, მათ შორის, იძულებით შრომას, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, საკვებისა და სასმელი წყლის შეზღუდვას, და ა.შ.

2016 წლის მაისში გამყოფ ხაზზე მოხდა მკვლელობაც. ახალგაზრდა მამაკაცი, გ.ო. ხურჩა-ნაბაკევის გამშვები პუნქტის გავლით გალის რაიონში პროდუქტის გადატანას ცდილობდა. მოქალაქეს ე.წ. მესაზღვრესთან შელაპარაკება მოუვიდა. შეიარაღებული მესაზღვრე უკან მობრუნებულ გ.ო.-ს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დაეწია და მისი მისამართით რამდენჯერმე გაისროლა, რის შედეგადაც გ.ო. ადგილზე გარდაიცვალა. შემთხვევიდან მალევე გავრცელდა სათვალთვალო კამერით გადაღებული, მკვლელობის ამსახველი ვიდეო კადრები. სიცოცხლის უფლების ამ დარღვევაზე, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას, როგორც ოკუპირებული ტერიტორიებისა და საოკუპაციო ხაზის რეალური კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფოს.

აღნიშნული შემთხვევის შემდეგ, ნაჩქარევად ჩაინიშნა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრა გალის რაიონში, რომელიც 2012 წლიდან იყო შეწყვეტილი. შეხვედრების აღდგენის თაობაზე გადაწყვეტილება 2016 წლის მარტში, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების დროს მიიღეს, რაც მისასალმებელი ფაქტია და მონაწილეთა რეალური ჩართულობის შემთხვევაში, ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის უფლებრივი და უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პრობლემები რჩება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა განათლების უფლების, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის, გამოხატვის თავისუფლების, საკუთრების უფლების, ბავშვთა უფლებებისა და ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებითაც. თუმცა, დაზარალებულები თავს იკავებენ ეროვნული თუ საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებისგან საკუთარი უფლებების დასაცავად. ისინი შიშობენ, რომ ასეთ შემთხვევებში საფრთხე დაემუქრებათ პირადად მათ, მათ ოჯახებს, ნათესავებს და ა.შ. შესაბამისად, როგორც საქართველოს სახალხო დამცველი, ისე ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას პირდაპირი რეაგირება მოახდინონ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩადენილი უფლების დარღვევის ფაქტებზე.

მნიშვნელოვან მიღწევად უნდა შეფასდეს, საქართველოს ხელისუფლებასა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებს შორის მიღწეული შეთანხმება პატიმართა გათავისუფლების თაობაზე პრინციპით - „ყველა ყველაზე“. ამით შესაძლებელი გახდა იმ პირების გათავისუფლება, რომელთაც წლებია უკანონოდ ჰქონდათ თავისუფლება აღკვეთილი ცხინვალისა და სოხუმის ციხეებში. სახალხო დამცველი მიესალმება ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად დაწყებულ დიალოგს და იმედს იტოვებს, რომ დიალოგი სხვა პრობლემატურ საკითხების მოგვარებაზეც გაგრძელდება.

27. ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა

2016 წელსაც მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში მიმდინარე პროგრამის ფუნქციონირება, რომელიც, უკვე მეორე წელია, სახელმწიფოს მხრიდან წინასწარ განსაზღვრული თანხის

ფარგლებში ეხმარება სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს საცხოვრებელი სახლების შესყიდვაში. თუმცა, სტიქიური უბედურების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემის მასშტაბურობიდან გამომდინარე, ეს ძალისხმევა არასაკმარისია და საკითხი მეტ სისტემურ რეგულირებას საჭიროებს.

წინა წლების მსგავსად პრობლემას წარმოადგენს სტიქიური უბედურების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის არ არსებობა. იმისათვის, რომ შეიქმნას სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტიქიური უბედურების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა პირველად გადაუდებელ დახმარებას და მათ განსახლებას, აუცილებელია სტიქიური უბედურების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა წრის განსაზღვრა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ და იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სახელმწიფო ვალდებულების საკანონმდებლო დონეზე რეგულირება.

ეკომიგრანტთა სტატუსი საკანონმდებლო დონეზე არ არის განსაზღვრული, ხოლო ეკომიგრანტი ოჯახის ცნება მხოლოდ განსახლების მიზნებისათვის გამოიყენება. მათ განსახლებასთან დაკავშირებულ საკითხებს მინისტრის ბრძანება არეგულირებს, თუმცა, ვერ ფარავს სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა ეკომიგრანტების სოციალური უზრუნველყოფა, დაზიანებული საცხოვრებელი ფართის რეაბილიტაცია და ა.შ.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისათვის)“ ერთ-ერთი თავი ეკომიგრანტთა უფლებებს შეეხება, თუმცა დაგეგმილი საქმიანობის ჩამონათვალისაკითხთა უკიდურესად ვიწრო წრეს მოიცავს.

28. საბჭოთა ხელისუფლების მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ

სამხრეთ საქართველოდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის თემის პოლიტიკური მნიშვნელობა დღემდე აქტუალური განსჯის საგნად რჩება. პრობლემას წარმოადგენს აღნიშნული პირების სამართლებრივი მდგომარეობაც. მიუხედავად იმისა, რომ ევროსაბჭოში გაწევრიანებასთან ერთად, საქართველომ აიღო ვალდებულება 2011 ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ, აღნიშნული ვალდებულებების შესრულება და შესაბამისი პროცედურები სხვადასხვა ხელისშემშლელი ფაქტორის გამო საკმაოდ გაჭიანურდა. თუნდაც ის ფაქტი, რომ ვალდებულებების აღებიდან მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ მოხერხდა საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, საკითხისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებას განსაზღვრავს. კერძოდ, საქართველოს პარლამენტმა მხოლოდ 2007 წლის ივლისში მიიღო „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40–იან წლებში საქართველოს სსრ–დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი. 2014 წლამდე არ არსებობდა მესხების ღირსეული რეპატრიაციისათვის ჩამოყალიბებული სტრატეგია, რომლის დამტკიცებაც, გარკვეულწილად, წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. დღემდე არ არის მიღებული სამოქმედო გეგმა, თუმცა ამ მხრივ დადებითი ტენდენცია შეინიშნება – შემუშავებულია სამოქმედო გეგმის პროექტი.

მეტად მნიშვნელოვანია ის მონაცემებიც, რომ 5 841 რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელი პირიდან, მხოლოდ 1 533–ს მიენიჭა რეპატრიანტის სტატუსი, ხოლო 2015 წლის განმავლობაში საერთოდ არ განხორციელებულა სტატუსის მინიჭების პროცედურა.

გადასახლებულ პირთათვის პრობლემად რჩება საქართველოს მოქალაქეობის მიღება. გამარტივებული წესით მოქალაქეობის მინიჭების მიუხედავად, სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 472 ე.წ. პირობადებული მოქალაქიდან არცერთს არ წარმოუდგენია სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანების გაუქმებას იწვევს.

29. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იყო უცხოელებისთვის, ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, ქვეყანაში შემოსვლასა თუ მოქალაქეობის მინიჭებაზე, ეროვნული უსაფრთხოების არგუმენტით უარის

თქმის შემთხვევები. კანონი დეტალურად განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, თუ როდის არის შესაძლებელი მოცემული საფუძვლის გამოყენება. ამის მიუხედავად, მიღებულ გადაწყვეტილებებში არ ეთითება, თუ კონკრეტულად კანონით გათვალისწინებული რომელი წინაპირობის არსებობა გახდა უარის თქმის საფუძველი. მსგავს შემთხვევებში, ნაკლებია მიღებული გადაწყვეტილების დამაჯერებლობა, მისდამი ნდობა, ხოლო პირს ფაქტობრივად ესპობა სასამართლოში საწინააღმდეგო მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა, ვინაიდან მისთვის რეალურად უცნობი რჩება მინიმალური დასაბუთებაც კი. მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილ იქნას მიღებული გადაწყვეტილებების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი დასაბუთება, უარის თქმის კონკრეტული საფუძვლის (ქვეპუნქტის) მითითება და შესაბამისი პირის სათანადო ინფორმირება.

30. თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა

2016 წელი თავშესაფრის სისტემის გაუმჯობესებისა და ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოების კუთხით, გამორჩეული იყო. შემუშავდა ახალი კანონპროექტი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“, რომელიც კიდევ უფრო დაუახლოვდა „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენციას და, მის მსგავსად, დარეგულირდა საერთაშორისო დაცვის დამშვები, გამომრიცხავი და მინიჭებაზე უარის საფუძვლები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონპროექტში განსაზღვრული „ოჯახის წევრებისა“ და „წარმოებული სტატუსის“ დეფინიცია საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის წევრებისათვის, ოჯახის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე და ა.შ.

არაერთი პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, კანონპროექტში კვლავ რჩება მოქმედ კანონში არსებული ის მუხლები, რომლებიც მიგვაჩნია, რომ შესაცვლელია, მაგალითად, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების განსაზღვრის პროცედურისთვის საჭირო ვადები. უფრო მეტიც, კანონპროექტში, განსაკუთრებულ შემთხვევებში საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის განხილვის ვადად არაუმეტეს ოცდაერთი თვეა მითითებული, რაც სცილდება გონივრულ ვადას.

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ახალი მოწვევის პარლამენტში დაჩქარდება აღნიშნული კანონპროექტის მიღება.

31. თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდში გამოწვევად რჩება წვევამდელთა უფლებრივი მდგომარეობა., გასული წლის მდგომარეობის მსგავსად. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტში ჩატარებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით, წვევამდელთა შემოვლა ექიმებთან მიმდინარეობს კვლავ ჯგუფურად, არ არის დაცული კონფიდენციალურობა, ინდივიდუალური დიაგნოზები გარეშე პირების თანდასწრებით განიხილება. თუმცა, უნდა აღინიშნოს დადებითი ტენდენციებიც. კერძოდ, ფეხშიშველი გადაადგილებისათვის წვევამდელებს გადასცემენ ბახილებს; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ექიმების განცალკევებით მოსათავსებლად, დაგეგმილია შემკრებ გამანაწილებელი პუნქტის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

მონიტორინგი განხორციელდა ასევე თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ რიგ სამხედრო ნაწილებში, სადაც სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებს კვლავ მხოლოდ დაცვის სამსახურში იყენებენ. მათი ფუნქცია კვლავ შემოიფარგლება საყარაულო განწესში გუშაგებად გასვლით და სხვადასხვა ტიპის ფიზიკური და სამეურნეო სამუშაოების შესრულებით. საცხოვრებელ ყაზარმებში გაუმართავია როგორც სავალდებულო, ასევე საკონტრაქტო ჯარის მოხმარებაში არსებული სველი წერტილები. ასევე ძალიან პრობლემატურია სველ წერტილებში ჰიგიენის დაცვა, ვინაიდან არ ხდება მათთვის საკმარისი სადეზინფექციო საშუალებებისა და სამეურნეო ინვენტარის შეძენა.

პრობლემებია სამხედრო მოსამსახურეთა ჩაცმის ხარისხთან დაკავშირებითაც. სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებს ურიგდებათ თურქული წარმოების შავი „ბათინკები“, რომელიც დაახლოებით ერთ თვეში გამოუსადეგარი ხდება და მიუხედავად ამისა, სამხედროებს ხშირად ამ ფეხსაცმლით უწევთ გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა ხუთი სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების ფაქტი. მათ შორის 3 საკონტრაქტო ჯარიდან, ხოლო 2 სავალდებულო სამხედრო მოსამსახურე იყო. ყველა საქმეზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. ერთ საქმეზე სისხლის სამართლის საქმე აღძრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, ორ საქმეზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის I ნაწილით, ხოლო ერთ საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის II ნაწილით, რომელიც ეხება გონიოს ყოფილი სასროლეთის საზღვაო ზოლში წვრთნების დროს ზღვაში გაუჩინარებული ორი სამხედრო მოსამსახურის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ფაქტს.

კვლავ გამოწვევად რჩება ქეთევან წამებულის N71–ში მცხოვრები ვეტერანების საცხოვრებელი პირობები. მათი მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ეს ადამიანები განაგრძობენ ცხოვრებას ამორტიზებულ შენობებში, სადაც საფრთხე ემუქრება მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

UN JOINT PROGRAMME
FOR GENDER EQUALITY

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

SWEDEN

UNFPA

საქართველოს
სახალხო დამცველი

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის

პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს.

გამოცემა მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)